საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 22 ნოემბერი. 2019 წ. №231 (8897) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ფინანსური სკანდალი

ბიძინა ივანიშვილი:

რა დროც არ უნდა დამჭირდეს, უკან არ დავიხევ!

„ოცნების“ ლიდერი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს შეხვდა

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს შეხვდა.

„ქართული ოცნების“ პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ისაუბრეს.

ვიყბედოთ მაინც... მეტი რა შეგვრჩება! 6

დემოკრატია – „სხვა რაღაც, უფრო „წმინდა“... 7

სადაც თქვენ არ ხართ, იქ კარგია, მიხეილ! 9

ლექსის კედელი ქუთაისში

სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებული

„სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას, – სხვას აღარავის“



ქებაც, ეგედრებაც, კიცხვაც, მადლობაც,
წყრომაც, ვარამიც –
სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
სხვას
აღარავის.

გმობაც, დანდობაც, ლოცვაც, გალობაც
ქირდვაც მზარავიც –
სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
სხვას
აღარავის.

მეგლად სასახლეც, ოქროს წყალობაც,
ისლის კარავიც –
სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
სხვას
აღარავის.

მშვიდად, გულმშვიდად, მტრობაც, წამლობაც,
ღირსიც, არამიც!..
სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
სხვას აღარავის...

110 ლ

ირაკლი აბაშიძე - 110 ლ

პოეტ-აკადემიკოს **ირაკლი აბაშიძეს** 110 წელი შეუსრულდა. ადამიანის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე ღვაწლით განიზომება. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული არაერთი მამულიშვილური საქმე: იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია (1960 წ.), რუსთაველის 800 წლის იუბილე (1966 წ.), ქართული ენციკლოპედიის დაარსება (1966 წ.). ირაკლი აბაშიძე წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა მწერალთა კავშირს, იყო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და, რაც მთავარია, ქართული პოეზიის ცის კაბადონზე გაიელვა მისმა ფილოსოფიურმა ლირიკამ – აზრით, ფიქრით, მშვენიერისა და ამაღლებულის ესთეტიკის ერთგულებით შექმნილმა პოეზიამ.

იხ. 5 გვ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

სადაც თქვენ არ ხართ, იქ კარგია, მიხეილ!

ტელეწამყვანი თინა კანდელაკი უკრაინის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტირებისას აღნიშნავს, რომ 2018 წლის თებერვალში მიხეილ სააკაშვილის ქვეყნიდან გაძევება კანონიერი იყო.

„ახლა ერთი მსახიობის ცირკი სტრასბურგში გადაინაცვლებს, რათა ამით მან დაიცვას თავისი უფლებები, მაგრამ რა ფასი აქვს იმ ადამიანის სიტყვებს, ვინც 2013 წლიდან არაფერს აკეთებს, თუმცა ამ ენაზე ლაპარაკობს? სააკაშვილი ქვეყანაში თავდაპირველად იქცა იმ ადამიანად, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ღალატობს, შემდეგ კი იმდენად ტოქსიკური გახდა, რომ „მიშას დეპორტაცია“ კანონიერი გახდა. სადაც თქვენ არ ხართ, იქ კარგია, მიხაილ ნიკოლოზოვიჩ, კარგია იქ, სადაც არ ხარ“, – აღნიშნა თინა კანდელაკმა.

რუსუდან შარაძე:

მამაჩემი მოკლეს იმიტომ, რომ... გურამ შარაძე იყო!

გიორგი გახარია: მთავარია ფინანსური სტაბილურობა, გამჭირვალე საგადასახადო სისტემა...

მინდა ეროვნულ ბანკს მოვუწოდო, აქტიურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი, ფასების სტაბილურობის და ინფლაციის თარგეთირების უზრუნველსაყოფად, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, კოორდინირებული მუშაობაა საჭირო იმისთვის,რომ უზრუნველყოფილი იყოს როგორც ეკონომიკური ზრდა, ასევე წლის დასაწყისში არსებული ინფლაციის ზღვრული ნორმები და ფასების სტაბილურობა.

მთავრობის მეთაურმა ფინანსთა მინისტრს მისცა შესაბამისი დავალება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფისკალურ პოლიტიკას და შემოსავლების სამსახურს.

„ამ გადმოსახედიდან ასევე მნიშვნელოვანია ფისკალური დისციპლინა, ამიტომ, ფინანსთა მინისტრს მინდა დავავალო, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ყველაფერს, რაც ხდება შემოსავლების სამსახურში. დღეს ჩვენთვის სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტური საგადასახადო სისტემა არის პრიორიტეტი. ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და საერთოდ, სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის, ამიტომ,შემოსავლების სამსახურს და ფისკალურ პოლიტიკას დაეთმობა განსაკუთრებული ყურადღება“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

„მინდა ფინანსთა მინისტრს დავავალო ის შემზღუდველი ელემენტი,რომელიც ჩვენ დავაწესეთ უცხოურ ვალუტაში — დაკრედიტების ზღვარი, 200 000 ლარის ფარგლებში, განიხილოთ შესაძლებლობა და მომავალი მთავრობის სხდომაზე წარმოგვიდგინოთ, რამდენად შესაძლებელია, ეს ზღვარი ჩამოვწიოთ 100 000 ლარამდე“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერის თქმით, ყველაფერი, რაც ხდება ქვეყნის სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც კი დესტაბილიზაციის ხასიათს იძენს, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

„ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ჩვენი ქვეყნის უახლოესი წლების განმავლობაში ყველაზე დიდი გამოწვევაც და მიზანიც იქნება ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილები და ყველაფერი ის, თუ რა ხდება ჩვენს სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში,როგორც კი იძენს დესტაბილიზაციის ხასიათს, გადადის ქუჩაში, იძენს უკანონო ქმედებების სახეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან განზომილებაზე, როგორიც გახლავთ ეკონომიკური ცხოვრება“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

უკანონოდ დაკავებულ ექიმთან დაკავშირებით მთავრობა, შესაბამისი უწყებები აქტიურად მოქმედებენ...

საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებულ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოები, მთავრობა, შესაბამისი უწყებები აქტიურად მოქმედებენ 24-საათიან რეჟიმში, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„რა თქმა უნდა, სრულ სინქრონში ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, ვდგამთ იმ ნაბიჯებს, რომელიც აუცილებელია მსგავს მძიმე სიტუაციაში და ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ყველამ უნდა გავითვალისწინოთ ამ პროცესის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ინფორმაციის გავრცელების შესაბამისი სტანდარტები და, პირველ რიგში, ეს სტანდარტები უნდა გავითვალისწინოთ ბატონი ვაჟას და მისი ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

დესტაბილიზაცია გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებასა და გამოწვევებზე

ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ძალამ და საქართველოს მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რომ გამოწვევებს გავცეთ შესაბამისი პასუხი, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე ხაზგასმით განაცხადა.

— არაერთხელ ხაზგასმით განვაცხადეთ, რომ ჩვენი ქვეყნის უახლოესი გამოწვევაც და მიზანიც იქნება ეკონომიკური ზრდა და, უპირველეს ყოვლისა, სამუშაო ადგილები. ყველაფერი ის, რაც ხდება ჩვენს სოციალურ ან პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც კი იძენს დესტაბილიზაციის ხასიათს, გადადის ქუჩაში და იწვევს უკანონო ქმედებების სახეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან განზომილებაზე, როგორიც არის ეკონომიკური ცხოვრება. ამიტომ ის უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან განზომილებას, კიდევ ერთხელ ვეტყვი: ეს გახლავთ ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ძალამ და საქართველოს მთავრობამ, გარკვეული ნაბიჯები უნდა გადავდგათ იმისთვის, რომ მსგავს გამოწვევებსაც გავცეთ შესაბამისი პასუხი“...

თეა წულუკიანი: კარგია, რომ ნულოვანი ბარიერით პროპორციული მოდელი არ შემოვიდა

ვიცე-პრემიერის განმარტებით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არის ის, რაც ხალხს სჭირდება და ეს უნდა შენარჩუნდეს. **„როგორც ყოფილი მაჟორიტარი, ვრჩები იმ აზრზე, რომელზეც ყოველთვის ვიყავი და ვფიქრობ, მაჟორიტარული სისტემა არის ის, რაც სჭირდება ხალხს, რათა პრობლემების მომგვარებელი არსებობდეს ამ ქვეყანაში. ეს სისტემა უნდა შენარჩუნდეს. შესაბამისად, ის, რომ მოდელი ვერ შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, არის იმის გარანტია, რომ 2020 წლის არჩევნების შედეგად ჩვენ მივიღებთ იმ მმართველ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც აირჩევთ თქვენ, ხალხი და ქვეყანაში იქნება სტაბილურობა“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ირაკლი ჩიქოვანი პრემიერის პრეს-სპიკერიც იქნება

მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარისხის ასამაღლებლად პრემიერის აპარატში პრესსპიკერის პოზიცია გაჩნდება, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. გიორგი გახარიას განმარტებით, პრესსპიკერის თანამდებობას შეთავსებით საერთაშორისო საკითხებში პრემიერის მრჩეველი ირაკლი ჩიქოვანი დაიკავებს.

„ეს გახლავთ ახალი პოზიცია, რაც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციას, ჩვენს მოქალაქეებსა და მედიას შორის სწრაფი და ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას“, — აღნიშნა გახარიამ.

დავით ზალკალიანი ნატოს მინისტერიალის ფარგლებში ნორვეგიელ, რუმინელ და ხორვატ კოლეგებს შეხვდა

ორმხრივი ურთიერთობების პარალელურად საუბრის ერთ-ერთი მთავარი საკითხი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული უსაფრთხოების გარემო, ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაკავების ფაქტი და აღნიშნულზე საერთაშორისო თანამეგობრობის რეაგირების აუცილებლობა იყო. კიდევ ერთხელ აღინიშნა საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან მსგავსი ქმედებების კატეგორიული მიუღებლობა და ხაზი გაესვა ქართველი ექიმის დაუყოვნებლივი გათავისუფლების აუცილებლობას.

მინისტრებთან შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ნატო-ს ლიდერთა მოახლოებულ შეკრებას ლონდონში და იმას, თუ როგორ იქნება ასახული საქართველოს პროგრესი ალიანსის მაღალი დონის შეხვედრაზე.

„რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა რუმინეთის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ. განსაკუთრებით გაესვა ხაზი საქართველოს მნიშვნელოვან როლს შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და მის აქტიურ, პრაქტიკულ ჩართულობას ამ მიმართულებით ნატოს ქმედებებში. მინისტრებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს მზაობა ასევე ითანამშრომლონ შავი ზღვის ეკონომიკური პოტენციალის და ორი ქვეყნის სატრანზიტო შესაძლებლობების წარმოჩენაში.

მაღალი შეფასება მიეცა საქართველოს ალიანსში გაწევრიანების გზაზე გადადგმულ ნაბიჯებს ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე. დავით ზალკალიანმა და ინე მარიე ერიკსენ სორაიდემ კმაყოფილება გამოთქვეს ქვეყნებს შორის გააქტიურებული ურთიერთობებისა და მაღალი დონის შეხვედრების ინტენსიფიკაციის გამო“, — აღნიშნავენ საქართველოს საგარეო უწყებაში.

მათივე ცნობით, ხორვატიის ევროპის და საგარეო საქმეთა მინისტრმა გორდან გრილჩ რადმანმა და დავით ზალკალიანმა შეხვედრაზე მიმოიხილეს ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებასთან დაკავშირებული საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ხორვატიის წარმატებულ გამოცდილებაზე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ასევე ევროკავშირის თავმჯდომარეობის პერიოდში ხორვატიის პრიორიტეტებზე.

პოლიტიკური დაძაბულობის ფასს ქვეყნის ეკონომიკა გადაიხდის!

ეკონომისტები და ბიზნესმენები გამუდმებული აქციებისა და მისი ხშირ-ხშირად დაშლის შედეგად გამოწვეული არასტაბილურობის გამო არასახარბიელო პერსპექტივას ამჩნევენ. მათი აზრით, ქვეყანაში უკვე იმდენად გაურკვეველი ვითარებაა, რომ ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას დიდი საფრთხე ემუქრება.

ქართული ბიზნესის წარმომადგენელთა განცხადებით, პროცესები დიდხანს თუ გაგრძელდა, ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში კიდევ უფრო გაუარესდება. ბიზნესმენი **ლაშა პაპაშვილი** უცხოური ინვესტიციების კლებას და ლარის გაუფასურებას ელის.

„პოლიტიკური არასტაბილურობა არა მარტო ჩვენნაირ პატარა ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებშიც ცუდ გავლენას ახდენს ბიზნესზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ მოახდინოს დროული რეაგირება, რათა საზოგადოების და პოლიტიკის ამგვარი პოლარიზება არ მოხდეს. თუ მთავრობამ ეს გამოსავალი ვერ იპოვა, ქართულ ეკონომიკას რყევა ემუქრება, რაც ძალიან აზიანებს ბიზნეს პროცესებს. დღევანდელ სიტუაციაში დიდ პრობლემებს არ ველოდები, რადგან ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს ყველა ბერკეტი ამ რყევების თავიდან ასარიდებლად“...

კომპანია „კულას“ დირექტორის **ვანო გოგლიძის** შეფასებით, დღეს ქვეყანაში არასტაბილური სიტუაციაა, რაც ბიზნესზე დანამდვილებით უარყოფითად აისახება. მიუხედავად ამისა, ბიზნესმენი ამბობს, რომ უცხოელი ინვესტორი რომ იყოს, საქართველოში ინვესტიციებს მაინც ჩადებდა.

„უცხოელი ინვესტორები საგადასახადო სისტემას უფრო აქცევენ ყურადღებას, ვიდრე პოლიტიკურ მდგომარეობას. ერთადერთი, რის გამოც საქართველოში ინვესტიციის განხორციელებაზე შეიძლება თავი შეიკავო, საგადასახადო სისტემაა. რაც უფრო მეტი წახალისება იქნება ამ მხრივ, უფრო მეტი ინვესტიცია განხორციელდება ქვეყანაში. სხვა მხრივ, მთავარია, ქვეყანა ვითარდებოდეს ეკონომიკურად და, ჩემი აზრით, დღეს ქვეყანა წინ მიდის“...

ეკონომიკის ექსპერტს **აკაკი ცომაიას** მიაჩნია, რომ ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ფონია.

„განსხვავებულს ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ სწრაფი ტემპით უკან მივდივართ. მიმდინარე მოვლენები, რასაკვირველია, გავლენას ახდენს ეკონომიკურ გარემოზე. ასევე უარყოფითად აისახება საინვესტიციო გარემოზეც. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ინვესტირება დიდ რისკებთანაა დაკავშირებული, რაც განაპირობებს ინვესტიციების შემცირებას და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას“, — განუცხადა „კომერსანტს“ ცომაიამ.

„მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ბანკს აქვს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, კურსი შესაძლოა, კიდევ უფრო გაუფასურდეს. არადა, ბევრი რამაა დამოკიდებული უცხოური ვალუტის შემოდინებაზე, თუ უცხოური ვალუტის შემოდინება შემცირდა, კიდევ უფრო მეტად გაუფასურდება ლარი“, — აცხადებს ცომაია.

ბექა დანელია

საკუთარი თავის შენარჩუნების უნარი დავკარგეთ!..



„ძუდზე კაცი — საქართველოს გადასარჩენად. ნუ გაგვიჭირდება იმის აღიარება, რომ ერსა და ბერში არსებული კრიზისი ფარისევლობისა და არაქრისტიანული აზროვნების შედეგია!“, — ჭყონდიდის ყოფილი მიტროპოლიტი **პეტრე ცაავა** ოპოზიციას მხარდაჭერას უცხადებს და ხელისუფლებას მიმართავს, რომ ნუ გაიმეორებენ 20 ივნისს დაშვებულ შეცდომას, როდესაც „ახალგაზრდების სისხლის ცოდვა დაედოთ კისერზე“.

რა გეგმით მოქმედებს პეტრე ცაავა — ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge პოლიტოლოგ **რამაზ სამვარელიძეს** ესაუბრა.

— რა მიზანი აქვს ცაავას, საინტერესო პოლიტიკური ვერსია შემოგვთავაზა მან, როდესაც თქვა, რომ ბიძინა იავნიშვილი და გიორგი გახარია კარგები არიან, მაგრამ აი, პატრიარქი არის ცუდი. რა ტაქტიკა აირჩია ცაავამ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“?

— რა გითხრათ, ძნელი სათქმელია მიზანი. დავუშვათ, რომ მიზანი არის „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა, მაგრამ ცუდ საქმეს უშვება „ნაციონალურ მოძრაობას“, თუ თვითონ ამ პარტიას აქვს გათვიცნობიერებული ეს ყველაფერი. ეჭვი მაქვს, რომ თვითონ „ნაცმოძრაობისთვისაც“ ცხადი არ არის, რას უშვება ცაავას წამოწყებული პროცესი მათ, როგორც პარტიას. ალბათ, გარკვეული თვალსაზრისით, მოსწონთ კიდეც. ამ ტიპის პიარ-შეცდომები, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ უშვებს, საკმაოდ ხშირია.

— იგივე შეიძლება ითქვას „ქართულ ოცნებაზე“, რომელიც ხშირად დგამს თავისი ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯებს...

— გეთანხმებით, მაგრამ ეს პრეტენზია კიდევ უფრო მეტად ითქმის „ნაციონალურ მოძრაობაზე“. საკუთარი სტერეოპიტის მსხვერპლია „ნაციონალური მოძრაობა“. მათ სტეროტიპად ჰქონდათ ისიც, რომ უპირისპირდებოდნენ რელიგიურ, ნათესაურ და სხვადასხვა იმ პრინციპებს, რომელიც ქართველებისთვის მნიშვნელოვანია და ეს მიაჩნდათ თავიანთ კრედოდ.

— იგივეს აგრძელებენ დღესაც?

— განსხვავება ის არის, რომ მაშინ ხელისუფლებაში იყვნენ და ამგვარი დამოკიდებულების გატანა და დაცვა შეეძლოთ. დღეს ოპოზიციაში არიან და ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ ზიანის მომტანია. მე მგონია, რომ ამას ვერ აცნობიერებენ. უბრალოდ, ცაავა ამ ინერციის ფონზე მოქმედი კონფიგურაა მხოლოდ და მხოლოდ.

— ჯგუფი, რომელსაც პეტრე ცაავა ხელმძღვანელობს, უარს არ ამბობს რადიკალიზმზე. ცაავას დარტყმის ობიექტი არის უწმინდესი, ოპოზიციის კი — სახელმწიფო! ზღვარი სად არის?

— რახან უკან დახევას არ აპირებენ და იცით, რომ გარკვეული უკმაყოფილება მეუფე იაკობსაც ჰქონდა, მაგრამ მან საკმაოდ სწრაფად დაიხია უკან, რაც იმას ნიშნავს, რომ მის უკან რომელიმე ჯგუფის შეთქმულება არ მოქმედებდა. იმპულსურად დაუფიქრებლობამ ათქმევინა ის, რაც თქვა. რაც შეეხება ცაავას შემთხვევას, აქ სწორედ იმიტომ ჩნდება ეს ვერსია, რომ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების დაკვეთით მოქმედებს.

— რუსულ ინტერესესს გამორიცხავთ? როდესაც ვსაუბრობთ „ნაციონალურ მოძრაობაზე“, ვიცით, რომ ეს პოლიტიკური ძალა მხოლოდ განცხადებით უპირისპირდებოდა რუსეთს, მოქმედებით კი, რუსეთისთვის პოლიტიკურად მომგებიან და აუცილებელ ნაბიჯებს დგამდნენ. გამორიცხავთ, რომ რუსეთის ინტერესში იყოს საპატრიარქოს და უწმინდესის დისკრედიტაცია, ავტორიტეტის განადგურება, რასაც ცაავას და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელით აკეთებს?

— რუსულ ინტერესში არის დესტაბილიზაცია. ამ დესტაბილიზაციის ბერკეტად რელიგიას გამოიყენებენ, საზოგადოებისთის მიუღებელი ფილმის დემონსტრაციას თუ რას, ეს სულერთია, მაგრამ დესტაბილიზაცია სჭირდებათ იმისთვის, რომ ცხადი გახდეს დასავლელი პარტნიორებისთვის, რომ ამ ქვეყანაში ფულის ჩადება არ შეიძლება და ანაკლიის პორტის თემა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა. პორტის მშენებლობის პროცესის შეჩერება ერთ-ერთ სტრატეგიად შეიძლება იყოს აღებული, რომ მოდით, ავრიოთ ქვეყანა ისე, რომ იქ პორტის მშენებლობაზე ამერიკამ თვითონ თქვას უარი.

ასეთი ვერსია შეიძლება არსებობდეს და თან ეს რუსეთისთვის მომგებიანი ვერსია არის, იმიტომ, რომ როგორც ეკლესიაზე, ასევე სექსუალური უმცირესობის ხელშეწყობაზე რუსული ძალები ხელს გაიშვერენ დასავლეთისკენ, რომ ეს დასავლეთის ღირებულებებია, სტრატეგიაა და ძალიან მომგებიანი იქნება თვითონ დასავლეთის დისკრედიტაციისთვის.

— მაგრამ ვხედავთ, რომ დასავლეთს საქართველოს ეკლესიასთან კონფლიქტი არ აწყობს...

— ნამდვილად ასეა ეს რამდენჯერმე გამოაჩინა დასავლეთმა, მათ შორის იმ ვიზიტებში, რომელიც დასავლეთმა შესთავაზა ეკლესიის პირებს. ამით აჩვენა, რომ კონფრონტაცია არ უნდა, უნდა იყოს წყნარი ურთიერთობა ეკლესიასა და დასავლეთს შორის. ისევ მივდივართ იქამდე, რომ შეიძლება რუსეთსაც ჰქონდეს ეს ვარიანტი, თან ისეთი ვარიანტია, სადაც თვითონ რუსეთი მასკირებულია, არ ჩანს.

საქართველოს ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი აქვს თავისი ისტორიის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ წინ მივდივართ, თითქმის არავის არ აქვს გათვლილი, რა გველოდება. ამ დროს, წინ ჩანს ისეთი პროცესების გამწვავება, როგორიც იგივე ევროპას აქვს, კერძოდ, მიგრაციის ტალღა. ჩვენ ახლა ვერ ვატყობთ, მაგრამ მიგრაციის ტალღა ფართოვდება საქართველოში. სხვადასხვა ქვეყნებიდან და ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოსულ მიგრანტებს საქართველოში ცხოვრება სურთ და ესენი არიან, ძირითადად, აღმოსავლური ქვეყნებიდან, ანუ სრულიად უცხო კულტურის ქვეყნებიდან მოსული ადამიანები. საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს ევროპასთან, რაც გვიხარია და უდავოდ ასეა და, ამავე დროს, ეს თხოულობს ისეთი ნაბიჯების გადადგმას თვითონ საქართველოსგან, რომ შენ მდგრადი იყო და საკუთარი სახე შეინარჩუნო ძლიერ დასავლურ კულტურასთან. გასულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ამ კულტურასთან ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს, არ ვეზიარეთ თანამედროვე დასავლურ კულტურას. ჩვენ ჩვენი სახე გვაქვს და მისი შენარჩუნებისაკენ ვისწრაფვით. დღეს ჩვენ ის საფრთხე გვაქვს, რომ თუკი ეკლესიის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა ხალხში, ნდობა ეკლესიის მიმართ შეირყა, ჩვენ შეიძლება კულტურული იმუნიტეტი დავკარგოთ და საკუთარი თავის შენარჩუნების უნარი დავკარგოთ, ყველაფერი იმის შედეგად, რაც დღეს ხდება.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

სამედიცინო დაწესებულებებისთვის ერთიანი სატარიფო სისტემა ამოქმედდა

რეგულაცია შეეხება კარდიოქირურგიასა და რეანიმაციას. ახალი წესები იმ კლინიკებზე ვრცელდება, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაშია ჩართული. ჯანდაცვის სერვისების მიწოდება კლინიკებს სწორედ იმ ტარიფებით მოუწევთ, რაც ჯანდაცვის სამინისტრომ განსაზღვრა.

კერძო სამედიცინო კლინიკებისა და დეპუტატების ნაწილის მოთხოვნის მიუხედავად, ჯანდაცვის სამინისტროს რეფორმის ეს ნაწილი არ გადავადდა.

საკითხზე გუშინ პარლამენტში კლინიკების წარმომადგენლები, ჯანდაცვის კომიტეტის წევრები და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეები სამი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ.

დაუფასოებელი სახით ნებისმიერი თამბაქოს მიწოდება-რეალიზაცია იკრძალება

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შედეგად, დაუფასოებელი სახით ნებისმიერი თამბაქოს ნაწარმის, მათ შორის თამბაქოს ნედლეულის, ჩიბუხის თამბაქოს, შესახვევი თამბაქოს, ასევე ჩილიმისათვის განკუთვნილი თამბაქოს რეალიზაცია და მიწოდება.

ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

აღნიშნული ნაწარმის რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფასოებულია ნეტო-მასით 50 ან 100-გრამიან პირველად შეფუთვაში. ამ წესით დაფასოებული თამბაქო უნდა იყოს აქციზური მარკით ნიშანდებული.



ასევე, თამბაქოს ნაწარმის თითოეულ კოლოფზე/ბლოკზე და თითოეულ შეფუთვაზე განთავსებული უნდა იყოს სამედიცინო გაფრთხილება და დაცული იყოს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

ამასთან, აქციზური მარკირების გარეშე იკრძალება ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის განკუთვნილი სითხეების რეალიზაცია. დაფასოების გარეშე თამბაქოს მიწოდება (მათ შორის, ნაშთად არსებულის) გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას პირველ ჯერზე 2000 ლარის, ხოლო განმეორებისას — 4000 ლარის ოდენობით. აქციზური მარკით სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა, შენახვა, რეალიზაცია იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას — საქონლის ჩამორთმევა, შინაპატიმრობა, თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სახელმწიფო ვალი უკვე 20 მილიარდ ლარზე მეტია

მიმდინარე წლის ოქტომბერში, გასულ თვესთან (სექტემბერთან) შედარებით, საქართველოს სახელმწიფო ვალის მოცულობა 473 მილიონი ლარით გაიზარდა და 20.6 მილიარდი ლარი შეადგინა.

დოლარში გამოსახული საგარეო სახელმწიფო ვალი 64 მილიონი დოლარით, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალი 240 მილიონი ლარით გაიზარდა. 30 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო სახელმწიფო ვალი 16 მილიარდი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალი 4.6 მილიარდი ლარია. საქართველოს საგარეო სახელმწიფო ვალის 70% საერთაშორისო ორგანიზაციებზე მოდის. მათ შორის, საქართველოს ყველაზე მეტი ვალი — 5.6 მილიარდი ლარი მსოფლიო ბანკის მიმართ აქვს.

ქვეყნების მიხედვით, საქართველოს ყველაზე მეტი ვალი — 934 მილიონ ლარი გერმანიის მიმართ აქვს, შემდეგ მოდის საფრანგეთი 694 მილიონი ლარით.

ახალი სტადიონი არველაძეების ფონდისგან

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კალინინოში, საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა მიმდინარეობს — პროექტის ინიციატორი ძმები არველაძეების საქველმოქმედო ფონდია.

„ფონდი სტადიონის მშენებლობას საქართველოში თურქეთის საელჩოსა და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს პარტნიორობით ახორციელებს“, — წერია ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე.

სოფელ კალინინოში სტადიონი სოფლის საჯარო სკოლის ტერიტორიაზეა განთავსებული და მცირე ზომისაა — მისი სიგრძე 40 მეტრია, თუმცა ბავშვებს საწყის ასაკში ვარჯიშის საშუალება მიეცემათ. პროექტის მიხედვით, მოედანზე მალე ახალ ხელოვნურ საფარს დააგებენ.

შემოსავლების სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი ლევან კაკავა წარუდგინა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ის უწყებაში დაწყებული რეფორმების კურსს გააგრძელებს.

მინისტრის თქმით, ახალ ხელმძღვანელს სისტემაში მუშაობის გამოცდილება და საკმაოდ ძლიერი მენეჯერული თვისებები აქვს. ასევე მაღალი რანგის პროფესიონალია.

„პრემიერთან გამართული კონსულტაციების შედეგად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ ლაშქარაძე დატოვებს პოსტს და აღნიშნულ თანამდებობას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან კაკავა დაიკავებს. მას აქვს შემოსავლების სამსახურში მუშაობის გამოცდილება — ეკავა შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობა. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ჩვენს მომიჯნავე ორგანიზაციებში, როგორც საგამოძიებო სამსახურში, ასევე ძალოვან უწყებებში და ჰქონდა შეხება ეკონომიკურ სფეროსთან და ფინანსებთან“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

საფეხბურთო კლუბ „ბარსელონის“ ექიმები ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას შეუერთდნენ



საოკუპაციო ძალების მიერ დაკავებული ქართველი ტრავმატოლოგის ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას საფეხბურთო კლუბ „ბარსელონის“ ექიმები რამონ კუგატი და მონსერატ გარსია ბალეტბო შეუერთდნენ. ცნობილი ექიმების მიმართვა კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. მათი თქმით, ისინი ექიმს იცნობენ და დაუყოვნებლივ მის გათავისუფლებას მოითხოვენ.

„ამ მიმართვას ჩვენი ძვირფასი მეგობრისა და კოლეგის, ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის სახელით ვწერთ. მას იმ დროიდან ვიცნობთ, როცა ბარსელონაში ერთწლიანი სასტიპენდიო პროგრამის გასავლელად ჩამოვიდა. ის კეთილი, გულისხმიერი, პატიოსანი და სამართლიანი ექიმია, რომლის სურვილი, დაეხმაროს გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს იმდენად დიდია, რომ თანაგრძნობასა და პატივისცემას იმსახურებს. ექიმი გაფრინდაშვილი ცხინვალის რეგიონში პოლიტიკური ინტერესების გამო არ წასულა. მისი, როგორც ექიმის ერთადერთი მიზანი, პაციენტის მონახულება იყო.

უფლებამოსილ პირებს მივმართავთ, რომ საკითხი სამართლიანად განიხილონ და გთხოვთ, ჩვენი კოლეგა რაც შეიძლება სწრაფად გაათავისუფლოთ, რომ მისი, მისი ოჯახისა და მეგობრების ტანჯვა დასრულდეს. თუ არსებობს რაიმე, რითიც შეგვიძლია ამ პროცესის დაჩქარებას მშვიდობიანი მეთოდით ხელი შევუწყოთ, გთხოვთ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გვაცნობოთ.

გვერწმუნეთ, რომ იმ დროის განმავლობაში, რაც მას ვიცნობთ, იგი თავისი პაციენტებისა და ავადმყოფების მიმართ ყოველთვის თავდადებული იყო“, — წერენ „ბარსელონის“ ექიმები.

საოკუპაციო რეჟიმის განცხადება ბრალდების ნაწილი და მიზანმიმართული დეზინფორმაციაა

საოკუპაციო რეჟიმის მიერ გაკეთებული განცხადება წარმოადგენს ვაჟა გაფრინდაშვილის წინააღმდეგ გამოგონილი ბრალდების შემადგენელ ნაწილს და მიზანმიმართულ დეზინფორმაციას, — ამის შესახებ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში განაცხადეს.

„საოკუპაციო ძალების მიერ ვაჟა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით გატარებული ნებისმიერი ქმედება არის უკანონო და არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საფუძველი“, — აცხადებენ სუს-ში.

...ჩანაწერი მისი პირადი მობილურის ხმის ჩამწერი აპლიკაციიდან არის ამოღებული!

ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ჩანაწერები, რომელიც ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. უსაფრთხოების კომიტეტმა გაავრცელა, ადასტურებს, რომ რუსეთის მხარე ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაკავების ფაქტთან დაკავშირებით კვლავ ცდილობს დეზინფორმაციის გავრცელებას.

ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. უსაფრთხოების კომიტეტმა ჩანაწერები გაავრცელა. ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახი აცხადებს, რომ საოკუპაციო რეჟიმის მიერ გავრცელებული ჩანაწერი მისი პირადი მობილურის ხმის ჩამწერი აპლიკაციიდან არის ამოღებული.

„რუსეთის მხარე ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაკავების ფაქტთან დაკავშირებით კვლავ ცდილობს დეზინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნულ ჩანაწერებს და დიალოგებს არანაირი კავშირი არ აქვს ვაჟა გაფრინდაშვილის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან და მხოლოდ ააშკარავებს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაწერილ სცენარს საზოგადოებაში ცრუ ინფორმაციის გავრცელების მხრივ. ისევე როგორც ანდროიდის უმეტეს მომხმარებელს, ვაჟა გაფრინდაშვილსაც პირადი მოხმარებისთვის ჰქონდა გადმოწერილი ხმის ჩამწერი აპლიკაცია მობილურში. ამასთან, პირადი საუბრების საჯაროდ გავრცელება რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ გადადგმული კიდევ ერთი უკანონო ნაბიჯია“, — ნათქვამია ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახის განცხადებაში.

„სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას, – სხვას აღარავის“

ჯ ირაკლი აბაშიძე – 110 ლ



ირაკლი აბაშიძის თაობა საბჭოთა ტოტალიტალური სახელმწიფოს ბნელი იდეოლოგიის მსხვერპლი იყო. მწერლობა ბეწვის ხიდზე გადიოდა, ზოგს ჩაუტყდა ეს ხიდი, ბევრმა ნაპირს ვერ მიაღწია და, ვინც გადარჩა (ტრაგიკული შეკითხვა: **„თუ ხარ კაცი, რატომ გადარჩი?“**), ღვთის ნებით გადარჩა, თუმცა პოეტმა ეს ეპოქა ცეცხლთან თამაშს შეადარა: **„მუდამ მზად ყოფნა, განუწყვეტელად ცეცხლთან თამაში... იყო, დრო იყო, იყო ლეწვა, უსამართლობა — პასუხს ვინ აგებს, პასუხს ვის სთხოვ ცივ აკლდამაში“**.

თანამედროვე რაციონალიზმისა და პრაგმატიზმის პირობებში, როცა, უმთავრესად, პროკურორის როლშია ადამიანი, შეუძლებელია ორი ტიპის ნარატივი: დიალოგი ღმერთთან და დიალოგი საკუთარ თავთან — გააზრებული იყოს განკითხვის გარეშე. ისტორიის ქერქში შესვლა, როგორც იტყოდა ილია ჭავჭავაძე, გულისხმობს თანაგანცდას, თანაარსებობას, თანამონაწილეობას, რათა არ დავრჩეთ სასტიკი და დაუნდობელი დროის სუბიექტურ შემფასებლად. თავადაც დაუდგა ირაკლი აბაშიძეს (თანაც არაერთხელ) ღირებულებათა გადაფასების, ყოფიერების კრიზისი („ო, წლები, წლები გადაფასების, ახლა რომ ყველა სიზმრის წელია“). ბოლო პერიოდში წერდა: გახსენება არ მინდა ზოგიერთის ვისამე და რისამეო, მაგრამ ეს იყო საკუთარ თავთან დარჩენილი (ბამბუკის ჯოხით, ჩალისფერ ჩოხით) ინტელექტუალის მწვავე განცდებად დაღვრილი ფიქრები, რომლებმაც ათქმევინა: **„იქნება ჯობდა... გეარა შენთვის, შენი ქუდით, შენი ნაბიჯით, გეფურცლა შენი სევდის ბაღის ვარდის ფურცელი... გეარა შენთვის, შენი ღმერთით, შენი წინამძღვრით“**.

დასკვნა კატეგორიული იყო: **„ჯობდა, ჯობდა ნამდვილად, უფრო საკუთრად, უფრო ლაღად, უფრო ადვილად“...**

ასეთი დიალოგიზებული მონოლოგი საკუთარ თავთან გულწრფელი ადამიანის აღსარებაა, განვლილი ცხოვრების კორექტივია. ირაკლი აბაშიძის ჯერ შეკითხვა, „იქნება ჯობდა?!“ და შემდეგ დასკვნა — „ჯობდა ნამდვილად!“ — არ არის მის ცნობიერში არსებული ან გაჩენილი უფსკრულის გამოხატულება — ეს არის თვითგვემამდე მისული თვითკრიტიკა, დროის დისტანციიდან რაღაცის გადაწყობის, ვექტორების შეცვლის სურვილი, რომელიც არამც და არამც არ გულისხმობს განვლილი გზის უარყოფას, ყველაფრის გადაფასებას. „საკუთარი ცნობადისგან ჩავარდების კაცი ჭირსა“ — ბრძანა რუსთაველმა. ირაკლი აბაშიძეს აზროვნება და მედიტაცია ტვირთად აწვა. თავადაც ასე ათქმევინა რუსთაველს: „მე მხოლოდ განსჯის, მხოლოდ განსჯის ვიყავ მლოცველი“. პოეზიაშიც და პირადს ცხოვრებაშიც „ცდილობდა, პასუხი გაეცა ყოფნა-არყოფნის ჯერაც ამოუხსნელი დილემისათვის“ (ე. მაღრაძე). ალბათ, ამიტომაც უწოდა თავისი სიცოცხლის 80 წელს „სულ ეკალივით ვარდი, სულ სიზმარივით ცხადი“.

უბრალოების გასაოცარი ეფექტი, სიმარტივის უნივერსალიზმი, ენაში ხატებად გარდაქმნილი წარსულის (და, თანაც, როგორი წარსულის!) მთელი გამოცდილება, ერთდროულად ტრაგიკული და ლირიკული ისტორია რუსთაველისა მთრთოლვარედ მოგვითხრო პოეტმა ლექსების ციკლში „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა“. აკი თავად იქცა იდუმალ ხმათა მეტყველად!

გაქანებული კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაში იქმნება და იწერება იმ რანგის პოეზია, რომელიც სათქმელის სიღრმით, პოეტური სახეების ფერადოვნებითა და სიადავით, არა მხოლოდ ხიბლავს, არამედ შეძრავს მკითხველს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება, რომელიც განაპირობებდა ირაკლი აბაშიძის ახალი პოეზიის დაბადებას. თავად პოეტი ცხოვრების ბოლოს ასე წერდა: „მე-20 ყრილობაზე, პიროვნების კულტის გამჟღავნების შემდეგ, პირადად ჩემთვის ყველაფერი საბოლოოდ გაირკვა და მეც იქვე განვსაზღვრე ჩემი შემდგომი სიცოცხლის და შემოქმედების აზრი. დიახ, სწორედ აქედან დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი პერიოდი, **ახლებურად გააზრებული გზა,** რომელსაც მე „რუსთაველის ნაკვალევზე“ დავარქვი და საითკენაც მე ჩემი პოეტური კალმით მოვუწოდე ჩემს მკითხველს და მთელ ჩემს ქვეყანასაც. **ეს გახდა ჩემი ერთადერთი იდეური მრწამსი, ჩემი პოლიტიკური პარტია“**.

პოეტის მიერ ამ ახლებურად გააზრებულ გზაზე კიდევ ერთი ბიძგი გაჩნდა. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ დათრგუნა ქართველი ადამიანი, ჩაუკლა სული და ეროვნული თავმოყვარეობა. სწორედ ასეთ ფონზე ირაკლი აბაშიძე იწყებს რუსთაველის სახელის უკვდავყოფას დასტურად იმისა, კაციჭამიები ვართ თუ, როცა „ვეფხისტყაოსანს“ ვწერდით, ჯერ კიდევ ტყეში დარბოდნენ ისინი, ვინც ქართველთა ველურობით აპელირებდა.

გარდა ამისა, გზა რუსთაველის ნაკვალევზე, ანუ ზოგადად სვლა რუსთაველისკენ, ღმერთთან დაბრუნების გზაც იყო. მეოცე საუკუნის საქართველოში ირაკლი აბაშიძის თაოსნობით მოწყობილმა ყველაზე გრანდიოზულმა დღესასწაულმა — რუსთაველის 800 წლის იუბილემ „წერტილი დაუსვა ქართველთა ლანძღვა-გინებას“ (მ. ბერძენიშვილი) და მაშინ, როცა მთელ საბჭოეთში (და მის გარეთაც) ამსხვრევდნენ ქართველი ბელადის (წარმომავლობაზე აქცენტებით) ძეგლებს, უპირველესი ქართველის — რუსთაველის ძეგლი აღიმართა სწორედ საბჭოეთის დედაქალაქში, მოსკოვში. ქართველმა ადამიანმა დაიბრუნა რწმენა საკუთარი თავისა და შესაძლებლობისა. იუბილეს საზეიმო გახსნაზე, ალბათ, შემთხვევით არ დაასრულა თავისი გამოსვლა ირაკლი აბაშიძემ სიტყვებით: „დღევანდელ ადამიანს, მსგავსად ტარიელისა, არ აკლია სიბრძნე, არ აკლია ძალმოსილება, ოღონდ ტარიელისავე მსგავსად, ბოროტებისა და საშიშროების წინაშე მას დაკარგული აქვს თავისი ძალების რწმენა, თითქოს აღარც კი სჯერა, რომ შეძლებს ეს სიბრძნე და ძალმოსილება მოიხმაროს ბოროტების დასათრგუნავად... **მივაშველოთ ტარიელს ავთანდილი, დავუბრუნოთ ადამიანს რწმენა!“**

„პალესტინა, პალესტინა“ პოეტური გარდასახვის, ფანტაზიის, ცნობიერების, გემოვნების, ცხოვრებისეული სტილისა და ეპოქის ენის, სიტყვასთან და სიცოცხლესთან ჭიდილის ძეგლია, „ჭეშმარიტად მინანქრული პოემები, დიდი ფაქიზი ოსტატობითა და ლექსის იშვიათი ორკესტრირებით შესრულებული“ (კ. გამსახურდია). შინაგანი დინამიკა და სულის რიტმი, ამაღლებულობა და ტრაგიზმი გასდევს ამ ციკლს. პოეტის რაინდულ-რომანტიკული ხატება გვაგრძნობინებს, რომ, როცა სიტყვა რუსთაველს ეთმობა, მაშინ სამყაროში სხვა სიტყვის ადგილი აღარ რჩება.

ჯვრის მონასტრის სამრეკლოსთან სულით შეძრული ლოცულობს რუსთაველი („ხმა სამრეკლოსთან“) და მისი ლოცვითი მდგომარეობა ირაკლი აბაშიძეს აძლევს შესაძლებლობას, ყველაფერი დიდ პოეტს „დააბრალოს“, იმ ეპოქით შენიღბოს სატკივარი. ეს ლექსი რუსთაველის გახმიანებული ლოცვაა სამშობლოს მომავალსა და ერის ბედზე. მისი პირველივე სურვილი და ვედრება უზენაესის მიმართ: არ დაუკეტო საქართველოს პონტის კარები“ (ამავე სიტყვებით მთავრდება ლექსიც) **ჩრდილოეთისკენ მიმართულ მზერას კი არა, ჩვენს დასავლურ კულტურასთან ორგანულ თანაზიარობას შეგვახსენებს, იმის მწვავე სურვილია, რომ არ მოვწყდეთ მსოფლიო ცივილიზაციას**.

„არ მომიკვეთო მიწა შენს ჯვარს, შენით ნათელი“ — ეს რუსთაველის სიტყვებია, მაგრამ რისი გაცხადებაა ავტორის ამგვარი სულისკვეთება? აქ ხომ პირდაპირაა ნათქვამი ის, რაზეც საუბარი ტოტალიტარულ ეპოქისთვის, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელი იყო. ქართული მიწა, ქრისტეს ნათლითა და მადლით მოსილი და დაცული, არ უნდა მოწყვეტილიყო ჯვარს — ქრისტეს სიკვდილზე გამარჯვების, აღდგომისა და ამაღლების სიმბოლოს, ანუ თავად ჯვარცმულ იესოს, მის გზას, ჭეშმარიტებასა და ცხოვრებას.

იქნებ, ეს საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობისა და, შესაბამისად, ამ მადლის განსაკუთრებულობის ან აუცილებლობის, სიცოცხლის ცხოველმყოფელ ნაკადებში ჩართვის, ერის სასიცოცხლო პოტენციალის გაძლიერების ერთადერთი საშუალებაც იყო. არა მგონია, სადავო იყოს, რომ აქ ქრისტიანობის ფარულ ქადაგებასთან გვაქვს საქმე. როგორც ჩანს, ცენზორი ვერ ჩაწვდა ქვეტექსტს, ყველაფერი რუსთაველის შემდგომ ეპოქას (ანუ დაცემის ხანას) მიაწერა და ამ კონტექსტში წაიკითხა ეს სიტყვებიც: **„რად მეჩვენება ჟამი ჭირთა მოახლოების, რისხვა განგების, შემოწყრომა მაღალ სამართლის“**. განგების რისხვა და შემოწყრომა, ისტორიულად, ერის გადაგვარებას მოჰყვება. თანდათან მძაფრდება რუსთაველის ლოცვის პათოსიც და ეროვნულ ტკივილამდე ადის: ბედშავი, ბედწამხდარი, ქრისტეს ჯვარს მოწყვეტილი (გაურჯულებული, გაათეისტებული, ქრისტესგან განდგომილი) და **დამწყვდეული (!) საქართველო** — არ დაგვაიწყდეს... როდის იწერება ეს სიტყვები — ცივილიზებული სამყაროსგან რკინის ფარდით გამოყოფილი, საბჭოთა კავშირის მარწუხებში მომწყვდეული ჩვენი ქვეყანა „მალული ცრემლით“ გლოვობდა დაკარგულ სახელმწიფოებრიობასაც და თავისუფლებასაც.

ცხოვრებამ ურთულეს გზებზე ატარა ირაკლი აბაშიძე, ჰქონდა მაღალი თანამდებობები, პოლიტიკური რეჟიმი ითხოვდა კომპრომისებს, მაგრამ არ გაუცვლია და არ გაუყიდია არც სამშობლო და არც პირადი ღირსება.

სინანული თან სდევდა მის ცხოვრებას. არ ასვენებდა „უკვდავი სევდები“, „ეს ხმა გაბმული, ხმა გამკითხავი“, „უკმარისობის უკურნავი სენი“, „კაცური მარცხები“. მწვავედ განიცდიდა პოეტი რაღაცას, ძილსა და შვებას რომ უკრთობდა... იქნებ არც არსებობდა რამე კონკრეტული, სერიოზული მიზეზი, მაგრამ მისი მშფოთვარე სული მაინც შეურვებული იყო: „ასჯერ ნატყვიარ გულს არ ნდომია ეს ზღვარ-სამანი, მე ეს მშვიდობა არც მინატრია, მე სხვა რამ დამრჩა დღეს დასანანი“.

სინანული სინდისის განწმენდაა, ნუგეშისცემის კარია — პირადი ნების დამარცხებითა და უარყოფით (ღირსი იოანე სინელი). არ მეგულება ამ დროის ქართულ პოეზიაში მეორე შემოქმედი, რომელსაც ასე აფიქრებდეს და აწუხებდეს განვლილი გზა, ასე შეეძლოს „განცდაი თვისთა ცოდვათა“ (თავის მართლების რიტორიკის გარეშე).

თუ ქრისტეს მთელი ეკლესია არის ეკლესია მონანულთა, იმათი, ვინც დაღუპვას სინანულის გზით გაურბის, როგორც წმინდა ეფრემ ასური იტყოდა, მაშინ ირაკლი აბაშიძის ქრისტიანობა, უპირველესად, სწორედ ამ იშვიათ სათნოებას უნდა დავუკავშიროთ. ეს უკიდეგანო სინანული — უპირველესი ნიშანი ქრისტიანობისა, დასაბამი სულიერი ამაღლებისა და ფერისცვალებისა — აქცევს მის პოეზიას „გალობანი სინანულისანის“ დარ შემოქმედებად.

ერთია მარტოობის უნივერსალურ კანონთან შერკინება, მისი დაძლევა თუ გაძლება. ამას გარდა, უამრავი სევდანარევი ხმა მოისმის ირაკლი აბაშიძის პოეზიიდან, მაგრამ მაინც, სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებულ პოეტად დარჩა. მისი პოეზია პასუხია იმაზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს და დაფასდეს მწერალი, რა უნდა იყოს მისი პოპულარობისა თუ სიდიდის დამადასტურებელი? — მხოლოდ დრო, დრო, რომელმაც გვიჩვენა, ვინ სჭირდება ქვეყანას. ირაკლი აბაშიძეც „ციფერბლატის ღერძს მიბმული ერთი წამწამი“, თავისი ეპოქის სევდიანი რაინდი იყო.

ერთ ლექსში გასაგებად გვითხრა პოეტმა: „ქებაც, ყვედრებაც, კიცხვაც, წყრომაც, ვარამიც, სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას, — სხვას აღარავის“.

რა დარჩა მომავალ თაობას მისი გარდაცვალების შემდეგ? — ამასაც თავად უპასუხა, უპასუხა ისე, როგორც შეჰფეროდა: დენდიზმით, აკადემიზმით, დახვეწილი ესთეტიკით: **„შენ დაგიტოვებ ყველაზე ლამაზს, ყველაზე ძვირფასს, რაც გამაჩნია — ჩემს განძს: ჩემს ათას უძილო ღამეს, წყეულმა ეჭვმა რომ დამაჩვია“**.

დაგვიტოვა თავისი დაღლილი ღიმილი, მთიდან მთებზე დაფლეთილი მზერა, გულში ჩამწყდარი ათასი ბგერა, უხმარი ცრემლები, უთქმელი სიზმრები, დარდი თუ წყენა...

შთამომავლობას დარჩა მისი პოეზია და ქართული საქმე!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია



ДЕМОКРАТІІС სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ყველამ ვიცით — ეს არის ხალხის ძალაუფლება! უფრო გავრცობილად კი — ეს არის სახელმწიფოს მართვის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც მართვას უშუალოდ ხალხი (პირდაპირი დემოკრატია) ან მისი წარმომადგენლები ახორციელებენ (არაპირდაპირი დემოკრატია). ასეა მიღებული ოფიციალურად, თორემ, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია უშუალოდ ხალხის მიერ სახელმწიფოს მართვა. ХАДАФІІС ლიბიაში, სადაც ჭეშმარიტად სახალხო მმართველობა იყო, იქაც კი, პრინციპში, წარმომადგენლობით მმართველობას ჰქონდა ადგილი, უბრალოდ, ე.წ. უმაღლესი სახალხო კონგრესის წარმომადგენლების შერჩევა სულ ქვედა საფეხურიდან (ადგილობრივი სახალხო კონგრესებიდან) იწყებოდა და თანდათანობითი შერჩევის გზით მხოლოდ საუკეთესოები ხვდებოდნენ ზედა, მაღალი საფეხურის კონგრესებში.

როდის იშვა დემოკრატია? — როცა ღმერთმა ადამი მიიყვანა ევასთან და უთხრა: „აირჩიე ცოლი“!

(ებრაული იუმორი)

დემოკრატია — „სხვა რაღაც, უფრო „წმინდა“...

ЛІБІІС უმაღლეს სახალხო კონგრესსა და დემოკრატიულად წოდებულ პარლამენტებს შორის თვისობრივი განსხვავებაა — **კონგრესისთვის ყველაზე ღირსეულების შერჩევა(!) ხდებოდა, პარლამენტებისთვის კი — სიით(!) არჩევა ხდება,** ამიტომაც, უცნობი და ხშირად — უღირსი ადამიანების! ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა არც კი იცნობს პარტიული სიით წარდგენილ კანდიდატთა 90 %-ს, ზოგჯერ, უფრო მეტსაც, პარტიას გააჩნია. ამას ისიც ემატება, რომ არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვს იმ პარტიას და იმ პიროვნებას, რომელსაც დიდი ფული აქვს, ფლობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (ტელეარხებს, გაზეთებს, ელექტრონულ მედიას), ადმინისტრაციულ რესურსებს და მათი დახმარებით ადვილად ახერხებს ფართო მასების მიმხრობას ცრუ დაპირებებით და მოსყიდვის გზითაც. და, გულუბრყვილო ხალხიც რამდენიმე პიროვნების ხათრით ხმას აძლევს პარტიის მიერ წარმოდგენილ მთლიან, 150-კაციან სიას, რომელშიც უამრავი არაკეთილსინდისიერი, უცოდინარი და პარლამენტისთვის შეუფერებელი, მაგრამ ფულიანი ადამიანია შეყვანილი! **სამწუხაროდ, ჩვენთან არც ოპოზიცია და არც ხელისუფლება არ ცდილობს გერმანული მოდელის შემოღებას, როდესაც ამომრჩეველს შეუძლია, პერსონალურად მისცეს ხმა პარტიის მიერ წარმოდგენილი სიიდან მხოლოდ იმ კანდიდატს, რომელსაც იგი იცნობს და ენდობა!**

ეს ასეა, მაგრამ პატიოსანი, კანონმორჩილი ამომრჩეველი უძლურია სახელისუფლებო მანქანის წინააღმდეგ, მას, პრაქტიკულად, არჩეული თაღლითი დეპუტატის გამოწვევის საშუალებაც არა აქვს, იმ დეპუტატის, რომელიც საკუთარ თავს ფარისევლურად ამომრჩევლის მიერ დაქირავებულს უწოდებს — აქაოდა, ხალხია ჩემი ბატონი და მე — მისი ნება-სურვილის აღმსრულებელი მსახურიო! მასხრად აგდებაზე მეტია, როცა ეს, ვითომდაც, დაქირავებული მსახურები მათ დამქირავებელს — ხალხს აბსოლუტურად არაფერს არ ეკითხებიან, ისე ჭრიან და კერავენ კონსტიტუციას, ისე იღებენ უაღრესად მნიშვნელოვან კანონებს და ისე ისწრაფვიან მეზობელთან(!) დაპირისპირებულ სამხედრო ბლოკში გაერთიანებისკენ, რომ არცერთხელ (!) დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს არსებობის მანძილზე, არცერთ (!) საკითხთან დაკავშირებით, აზრადაც არ მოსვლიათ ხალხის აზრი გაეგოთ, ერთი რეფერენდუმი მაინც ჩაეტარებინათ!

საპარლამენტო მმართველობას, ისევე, როგორც ნებისმიერს, სხვაც ბევრი მინუსი აქვს და ამას საუკუნეების წინათ მიხვდნენ მსოფლიოში ჭკუა-გონებით ცნობილი ადამიანები (მათ ლაპიდარულ გამოთქმებს დემოკრატიის შესახებ ქვემოთ გაგაცნობთ), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვისაც რეალური ძალაუფლება აქვს მსოფლიოში და საგარეო პოლიტიკასთან ერთად საშინაოსაც კარნახობს სხვას, ის მთელი მსოფლიოს ხალხებს აჯერებს იმაში, რომ საპარლამენტო მმართველობაზე უკეთესი კაცობრიობას არაფერი მოუგონია! არადა, უკლებლივ ყველა, ამერიკის მიერ წამოწყებული უსამართლო ომი დემოკრატიის სახელით — დიქტატურის დამხობის (ბოლო პერიოდში — ტერორიზმთან ბრძოლის) საბაბით ხორციელდებოდა და ხორციელდება დღესაც. და, ამ დასავლურ დემოკრატიას იგი იარაღის ძალით ახვევს თავს ყველას, აქაოდა დიქტატურისგან განთავისუფლებთო. იმას კი არავინ ეკითხება გაუბედურებულ ხალხს, თუ აწყობს მას ასეთი დემოკრატია და, მით უფრო, თავისი ოჯახის წევრების სიცოცხლის ფასად, ქვეყნის დანგრევის, 20 წლის მანძილზე გაუთავებლად მიმდინარე ომების და მილიონობით ლტოლვილის ცრემლების ფასად დამყარებული, უფრო სწორად, მაინც დაუმყარებელი დემოკრატია!

მთელი მსოფლიოს ხალხებისთვის **მნიშვნელობა არა აქვს მმართველობის ფორმას,** დემოკრატიულია იგი, ავტოკრატიული, დიქტატორული, მონარქიული თუ სხვა, მათთვის **მთავარია — სამართლიანია თუ არა ეს მმართველობა,** ყველასთვის ერთნაირად კანონობს კანონი და ყველა თანასწორია მის წინაშე, თუ შერჩევითია იგი. **და,** რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ნებისმიერი ადამიანისთვის — **რამდენად თანასწორად ნაწილდება შემოსავლები.** სახელმწიფოში, სადაც მთელი ქონება (წიაღისეული სიმდიდრეები, საწარმოები და ა.შ.) ერთი მუჭა ოჯახების ხელშია მოქცეული და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს, სადაც კოლოსალური სხვაობაა ოჯახების შემოსავლებს შორის, სახელმწიფო კი (სწორედ დემოკრატიული მმართველობის პირობებში!) მილიონერ-მილიარდერთა შემოსავლებს დანარჩენი ოჯახების შემოსავლებთან აერთიანებს, მერე საშუალო არითმეტიკული გამოჰყავს, და სიღატაკეში მცხოვრებ ადამიანს წარბშეუხრელად ეუბნება: შენზე საშუალოდ(!) ამდენი და ამდენი ათასი დოლარი შემოსავალი მოდის, სხვამ რომ დღეს ერთი ქათამი მიირთვა სადილად და შენ კი — ხორცეულის მსგავსი არაფერი, „დემოკრატიული სტატისტიკით“ მაინც გამოვა, რომ ორივემ ნახევარ-ნახევარი ქათამი მიირთვითო, იქ, ცხადია, სამართალი უვადო შვებულებაშია გასული!

ჭეშმარიტად სამართლიანი განაწილება მხოლოდ კადაფის ლიბიაში ხდებოდა, სადაც სახელმწიფოს ქონება ხალხის კუთვნილება იყო, სადაც არავის ჰქონდა უფლება, ეს ქონება მიეთვისებინა ან შეეძინა — მაგალითად, ვერავინ ვერ იყიდდა ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას. **და, მეორე,** მთელი შემოსავლები თანაბრად ნაწილდებოდა ლიბიის აბსოლუტურად ყველა მოქალაქეზე, ახალშობილიდან დაწყებული! სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ლიბიაში ხალხის საშუალო შემოსავალი ერთ სულზე გადაანგარიშებით რამდენჯერმე ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ში და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, ლიბიელი ხალხი არათუ ბევრად უკეთესად ცხოვრობდა, იგი, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, კომუნიზმში ცხოვრობდა! განათლება (სავალდებულო სრული საშუალო და უმაღლესიც), ჯანდაცვა (უცხოეთში მკურნალობაც!) — უფასო; წყალი, დენი, გაზი — უფასო; წამლები — დაბალ ფასებში, უფასოდაც კი; წარმოუდგენელი (დანარჩენი მსოფლიოსთვის) შეღავათები ბიზნესის წამოწყებაში, სახლის თუ მანქანის შეძენაში, ახლად დაოჯახებულთათვის და კიდევ ბევრი სხვა. დღეს **ფარმინდუსტრია** დემოკრატიულად წოდებულ და განვითარებულად მიჩნეულ სახელმწიფოებში, პირველ რიგში კი ამერიკაში, ბევრად უსწრებს ფულის „კეთებაში“ ყველა სხვას — **იარაღით ვაჭრობა იქნება ეს, პორნო, ნარკო თუ სათამაშო ინდუსტრია!** სწორედ ამიტომ არ დაუჭირეს მხარი ხალხზე მაფიქრალმა დასავლეთის „დემოკრატებმა“ **კადაფის** მართლაცდა ჰუმანურ წინადადებას ამ ათიოდე წლის წინათ, როდესაც გაეროს მაღალი ტრიბუნიდან იგი მოწოდებით გამოვიდა: **სირცხვილია ავადმყოფი ადამიანის უმწეო მდგომარეობით სარგებლობა და წამლებზე ფულის კეთება, მოდით, ყველამ უფასო გავხადოთ წამლებიო!** ვიმეორებ, ამ წინადადებით გამოვიდა დიქტატორად შერაცხილი ადამიანი, და მის წინააღმდეგ, ფაქტობრივად კი ხალხის წინააღმდეგ, წავიდნენ „ხალხის მსახური დემოკრატები“!

რაც არ უნდა მაგალითები მოვიყვანო, თანამედროვე, ზერელე განათლების მქონე და აგიტაცია-პროპაგანდა-ტრენინგებით ბევრ ტვინგადაბრუნებულს დღესაც სჯერა, რომ ექსცენტრული კადაფი საშინელი მონსტრიც იყო და იმ სიკვდილს იმსახურებდა, როგორიც მას ბედმა არგუნა. ბევრს ემახსოვრება ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერისგან სააკაშვილის მისამართით გამოთქმული მუქარა: დრო მოვა და შენც კადაფის ბედს გაიზიარებ, გამწარებულ-გაუბედურებული ხალხი ისევე გაგისწორდება, როგორც კადაფის გაუსწორდნენო! ამას ისე დაჯერებით ამბობდნენ, თითქოს, ხალხი მართლა აჯანყებულიყოს და პრეტენზიები წაეყენებინოს კადაფისთვის: ეს რა პირობებში გვაცხოვრებ, ესაა კომუნიზმიო? ჩვენ ქართველი ხალხივით დემოკრატიაში გვინდა ცხოვრება და თავისუფალ სექსთან ერთად ნაგვის ბუნკერებში ქექვის თავისუფლებაცო! კადაფის მაგინებელმა ადამიანებმა არც ის იციან, რომ კადაფიმ გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთისგან შეძენილი იარაღი (სხვა წარმოების იარაღი საერთოდ არ გააჩნდა) მთელ მოსახლეობას დაურიგა, ხალხი შეაიარაღა! მისი პრინციპი იყო: **„ძალაუფლება, სიმდიდრე და იარაღი — ხალხის ხელში“!** მას ხალხი კი არ აჯანყებია, პირიქით, — ხალხი იცავდა მას, და ამიტომაც იყო, რომ, მიუხედავად ჰაერიდან გამუდმებული დაბომბებისა, აფრიკა-აზიიდან თავშეყრილი, ამერიკული ავტომატებით აღჭურვილი და ბრიტანეთიდან ჩატანილ იაპონურ „ტოიოტებზე“ ამხედრებული კაციჭამია (პირდაპირი გაგებითაც!) ბოევიკებისა, „ნატომ“ რვა თვე(!) ვერაფერი მოუხერხა, ვერ დაააჩოქა ლიბიელი ხალხი!

საბჭოთა კავშირის დაშლის, ანუ დამოუკიდებლობის ოფიციალურად მიღების შემდეგ (1991) სულ დასავლური ტიპის დემოკრატიისკენ მივისწრაფვოდით და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აკი შევუდექით კიდეც მის შენებას. მაგრამ ამ 16 წლის მანძილზე იმდენჯერ გვესმის დღეში სიტყვა — „დემოკრატია“, ისე უადგილოდ არის ის ყველაფერთან წამძღვარებული, რომ ყველგან ბრჭყალებში ჩასმას მოითხოვს და, ამიტომ, ბუნებრივია, პირადად მე და, ბევრ სხვასაც, ყელში გვაქვს უკვე ამოსული იგი „ნატო-ნატოს“ ძახილთან ერთად: „დემოკრატიული“ მმართველობა (დამნაშავე, კორუმპირებული, არაპროფესიონალებით გადავსებული პარლამენტით და მთავრობით, ხან „დემოკრატიის შუქურათი“ და, ხანაც — არაფორმალური მმართველით სათავეში), „დემოკრატიული“ პრესა და ტელევიზია („პრასტიტუტკებით“ გადავსებული), „დემოკრატიული“ არჩევნები (დოკუმენტურად, ვიდეოთვალითაც(!) დადასტურებული წარმოუდგენელი გაყალბებების მიუხედავად, მაინც დემოკრატიულად ცნობილი „ობიექტური“ დასავლელი დამკვირვებლების მიერ), „დემოკრატიული“ რეფორმები (განუწყვეტლივ მიმდინარე, მუდამ ცვლადი და წარუმატებელი ყველა სფეროში — განათლება, სასამართლო, ძალოვანი სტრუქტურები და სხვა), დასავლეთისკენ სწრაფვის დამადასტურებელი „დემოკრატიული“ კანონები (ანტიდისკრიმინაციული — ჰომოსექსუალების გასაჯეჯილებელი, ყველანაირი(!) სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, საუკუნეების მანძილზე სექტებად ცნობილი რელიგიური ჯგუფების მართლმადიდებელ დედაეკლესიასთან გამთანაბრებელ უფლებებში და სხვა).

„დემოკრატიასთან“ „ნატოც“ ვახსენე ზემოთ და მასში გაწევრებაზედაც უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. სულ გვესმის ერთი და იგივე — რომ მისი კარი ჩვენთვის ღიაა და ჩვენც სულ ვუახლოვდებით და ვუახლოვდებით ამ სანუკვარ მიზანს, მაგრამ ხან საშინაო დავალებები არ გვქონია კარგად

შესრულებული, ანუ დასავლური კანონები მიღებული და რეფორმები გატარებული, ხანაც ხარისხი არ გვივარგოდა და ამისთვის ასპირანტურა უნდა დაგვემთავრებია, მერე სადოქტორო დაგვეცვა, პარალელურად ამისა, დასავლური დემოკრატიის დამყარებაში „ნატოს“ წევრებზე და თვით ამერიკაზე მეტი წვლილი უნდა შეგვეტანა ავღანეთში, სხვაგანაც და, ამ სწავლა-განათლების და პრაქტიკუმებში წარმატების წყალობით, ჩვენც ყოველ წელს ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებოდით, მაგრამ მაინც ვერაფრით ვერ მივაღწიეთ ამ მირაჟის მსგავს „ნატომდე“. სამაგიეროდ, ყოველ ჯერზე დამაიმედებელი სიტყვები გვესმოდა და გვესმის „ნაც-ქოცებისგან“: „ასე ახლოს არასდროს ვყოფილვართ ნატოსთან“; ბოლო წლებია კი, მთლად გული რომ არ გაგვიტეხონ „ნატოში“ მიღებაზე უარის თქმით, ახალი ფორმულირება მოიფიქრეს (სახელწოდებებით და გამოთქმებით მოვლენების არსის შენიღბვაში ხომ ბადალი არ ჰყავს აშშ-ს): „მეტი საქართველო „ნატოში“ და „მეტი „ნატო“ საქართველოში“! მეტი იქ და მეტი აქ! შედი იქ და შემოდი აქ! ყველაფერი ეს, ხალხის მასხრად აგდებასთან ერთად, უკაცრავად ვარ და, გაუთავებელ, თანაც, გაუკუღმართებულ სექსს მაგონებს! რა მოხდა მერე – ჭეშმარიტი, ნაღდი დასავლური დემოკრატიის პირობებში არაფერია გასაკვირი, ესეც ნორმად, გამოხატვის თავისუფლებად უნდა მივიღოთ! „ნატოზე“ ბევრი და ბევრჯერ მაქვს ნათქვამი სხვა დროს, ამიტომ მეტს აღარ შევჩერდები და წერილის თემას – „დემოკრატიას“ მივუბრუნდები, უკვე სხვისი პირით – ცნობილი და გამოცდილი ადამიანების მიერ მხატვრულად და ლაპიდარულად გამოთქმული, აფორიზმებად ქცეული შეფასებებით:

1. დემოკრატია ტირანიის დედაა (პლატონი, სოკრატეს მოწაფე და არისტოტელეს მასწავლებელი, ბერძენი ფილოსოფოსი);

2. ნებისმიერ დემოკრატიას ნაძირალების დიქტატურამდე მივყავართ (ალფრედ ნობელი, შვედი ქიმიკოსი, გამომგონებელი და ფილანტროპი);

3. ძნელი სათქმელია, მმართველობის რომელი ფორმაა უარესი, იმდენად ცუდია ყველა. დემოკრატიული ფორმა კი ყველაზე ცუდია, რადგანაც რა არის დემოკრატია თუ არა ნაძირალების არისტოკრატია! (ჯორჯ გორდონ ბაირონი, ინგლისელი პოეტი, საბერძნეთის ეროვნული გმირი);

4. დემოკრატია – ეს არის ისეთი რეჟიმი, რომლის დროსაც შეგიძლია ილაპარაკო ყველაფერი – რასაც ფიქრობ და ისიც, რასაც არ ფიქრობ (ლორენს პიტერი, ცნობილი კანადელი პედაგოგი);

5. დემოკრატია – ეს არის ხელისუფლება, რომელიც ცდილობს ხალხს იმის ილუზია შეუქმნას, თითქოს, იგია ბატონი (ბენიტო მუსოლინი – იტალიელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე);

6. დემოკრატია ტოტალიტარული რეჟიმია, რომელიც თავისუფლების ილუზიას უქმნის ხალხს (უცნობი ავტორი);

7. დემოკრატია საჰაერო ბურთია, რომელიც თქვენს თავებს ზემოთ ჰკიდია, რაც იძულებულს გხდით, თავაწეულებმა უცქიროთ მას, ამასობაში კი სხვები ჯიბეებს გიცარიელებენ (ბერნარდ შოუ, ირლანდიელი დრამატურგი და მწერალი, ლონდონის ეკონომიკის და პოლიტიკური მეცნიერების სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი);

8. დემოკრატია – ეს არის, როცა ორი მგელი და ბატკანი კენჭს ყრიან, თუ რა მიირთვან სადილად. თავისუფლება კი არის, როცა კარგად შეიარაღებულ ბატკანს შეუძლია, გააპროტესტოს ასეთი არჩევნების შედეგები (ბენჯამინ ფრანკლინი, შეერთებული შტატების ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი, ერის მამად წოდებული);

9. მას შემდეგ, რაც დემოკრატია დამყარდა, ერთ ომს მეორე მოსდევს (უინსტონ ჩერჩილი, ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე);

10. დიქტატურა – ეს არის – „ხმა ჩაიკმიდე“! დემოკრატია – „იყბედე-იყბედე“ (ბერნარდ შოუ);

11. დემოკრატია განუხორციელებელი იდეალია, რომელსაც ისე აფრიალებს პროპაგანდისტი მასების წინ, როგორც ვირის ცხვირწინ – სტაფილოს (სომერსეტ მოემი, ბრიტანელი მწერალი, ბრიტანეთის დაზვერვის აგენტი);

12. საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება თანამედროვე დასავლეთის დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია (ნომამ ჩომსკი, თანამედროვე ამერიკის უდიდესი ინტელექტუალი, ლინგვისტი და ფილოსოფოსი);

13. დემოკრატია – ეს არ არის ყველა დროისთვის და პირობებისთვის გამოსადეგი რაღაც, ვინაიდან არის მომენტები, როდესაც არ არის შესაძლებელი და არც აზრი აქვს მის გატარებას (იოსებ სტალინი);

14. სიბრიყვეა ერთი და იმავე არჩევნებზე დადიოდე და, შედეგს კი სხვას მოელოდე (ალბერტ აინშტაინი, ფიზიკოსი);

15. დემოკრატია – ეს საშუალებაა, რომლის დახმარებითაც კარგად ორგანიზებული უმცირესობა ცუდად ორგანიზებულ უმრავლესობას მართავს (ვასილი როზანოვი, რუსი ფილოსოფოსი);

16. დემოკრატია უმრავლესობის ძალაუფლება არ არის, ეს უმცირესობის დაცვაა (ალბერ კამიუ, ფრანგი პროზაიკოსი და ფილოსოფოსი);

17. ალბერ კამიუს განმარტება ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტმა (1979-2007 წლებში) **ედგარ ბრონფმანმა** დააზუსტა: **„მე არ ვიღლები გამეორებით: დემოკრატიის არსი უმრავლესობის ძალაუფლება კი არ არის, არამედ – ებრაელების ზეუფლებების დაცვა უმრავლესობისგან“.**

18. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა, მაგრამ რუზველტმა გასაგებად ამიხსნა, რომ დემოკრატია – ეს ამერიკელი ხალხის ძალაუფლებაა! (ბერნარდ შოუ);

რუზველტის ნათქვამს კიდევ უფრო აკონკრეტებს საქმეში ჩახედული მეორე ებრაელი:

19. დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა, ებრაელი ხალხის!

20. ამას, თავის მხრივ, ქართველი პოეტი **ჯანსუღ ჩარკვიანიც ეთანხმება** თავის ლექსში „ქართველი და ებრაელი“: **„მსოფლიოში ვის რა ელის, არის ნება ისრაელის“!**

21. დემოკრატია – ეს ახალი მსოფლიო წესრიგია (**აარონ რუსო,** ამერიკელი პროდიუსერი და პოლიტიკოსი, საიდუმლო ორგანიზაციების მკვლევარი);

22. – როდის იშვა დემოკრატია? – როცა ღმერთმა ადამი მიიყვანა ევასთან და უთხრა: „აირჩიე ცოლი“! (ებრაული იუმორი).

დაბოლოს, დემოკრატიის ერთსიტყვიანი შეფასებები:

რუსული – Дерьмократия (ავტორი უცნობია) და

ქართული – **დემოტრაკია** (ცნობილი ქართველი პოეტი, **რეზო ამაშუკელი**).

დემოკრატია კიდევ ბევრნაირად შეიძლება დახასიათდეს და, არსებობს კიდეც უამრავი სხვა, უფრო ვრცელი გამოთქვამები, მაგრამ, ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილებში ყველაფერია ნათქვამი, თანაც, ძალიან გასაგებად, დასამატებელი არაფერია!

მაშ, გაუმარჯოს დემოკრატიას!

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲩᲐᲕᲐ,
15 ნოემბერი, 2019 წელი

P.S.

წერილი დასრულებული მქონდა, როდესაც გავიგე, რომ ხელისუფლებისგან მოტყუებულმა და ძალიან გაბრაზებულმა (2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ მიერ გაცემული დაპირების შეუსრულებლობის გამო) და, ამ ნიშნის ქვეშ გაერთიანებულმა ოპოზიციამ პირველად(!) დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, როგორც იქნა, ხელისუფლებისგან არჩევნების გერმანული მოდელით ჩატარება მოითხოვა.

სჯობს გვიან, ვიდრე – არასდროს!

ი. ლ.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲠᲐ ᲓᲠᲝᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲭᲘᲠᲓᲔᲡ, ᲣᲙᲐᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲮᲔᲕ!

BLOOMBERG TELEVISION-Ი ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲫᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲐᲫᲕᲔᲣᲜᲔᲑᲡ. ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲐ.

„ᲙᲠᲔᲓᲘᲢ ᲡᲣᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ“ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲠᲗᲝᲮᲔᲚᲐ ᲛᲒᲔᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲒᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲐ“, – განაცხადა მისმა ძირითადმა მსხვერპლმა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ პორტფელის ყალბი ამონაწერებით აღჭურვილი პატრის ლესკადრონი და მისი, სულ მცირე, ორი კოლეგა არაერთხელ ესტუმრნენ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ქალაქგარე ვილას.

როგორც გამოცემა წერს, ივანიშვილის კომენტარი ეწინააღმდეგება ბანკის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, ლესკადრონი მარტო მოქმედებდა, ხოლო მისი კოლეგები საქმის კურსში არ იმყოფებოდნენ.

„რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემთან მოდიოდა სამი ადამიანი, მოჰქონდათ ბალანსის ყალბი ამონაწერები. შეუძლებელია, რომ ეს ყველაფერი ერთ ადამიანს გაეკეთებინა. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ ეს ბანკი არ არის“, – ამბობს ივანიშვილი.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, „კრედიტ სუისი“, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე მდიდარი კლიენტებისთვის დაახლოებით 760 მილიარდ დოლარს მართავს, აცხადებდა, რომ ლესკადრონი იყო „მარტოხელა მგელი, რომელმაც მოატყუა არა მხოლოდ თავისი კლიენტები, არამედ კოლეგებიც“, ხოლო მისი სქემა, რომელიც 2015 წელს, მის აღიარებით ჩვენებასთან ერთად დასრულდა, ემსახურებოდა სავაჭრო დანაკარგების ინვესტორებისგან მიღებული ფულის მეშვეობით დამალვას. ლესკადრონის ყოფილი უფროსის მიერ 2018 წლის სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენების თანახმად, მას წარმოდგენა არ ჰქონდა საკუთარი მოადგილის ტყუილის შესახებ.

სტატიის მიხედვით, სასამართლოს განაჩენის სხვადასხვა ასპექტები გასაჩივრების პროცესშია. ივანიშვილს არ სჯერა, რომ „კრედიტ სუისის“ ოდესღაც მაღალი რეპუტაციის მქონე ბანკირი კოლეგებისგან ასეთი ტყუილის დამალვას რვა წლის განმავლობაში ახერხებდა. ივანიშვილი უჩივის ბანკს იმ 140 მილიონი დოლარის დარჩენილი ნაწილის უზრუნველსაყოფად, რომელიც, მისი თქმით, ლესკადრონის გამო დაკარგა, ჟენევის ერთ-ერთმა სასამართლომ კი მას ზარალის ასანაზღაურებლად მიაკუთვნა. მისი წარმომადგენლის თანახმად, ივანიშვილს 100 მილიონ დოლარზე მეტი ეკუთვნის.

როგორც „ბლუმბერგი“ წერს, ბანკის ერთ-ერთმა სპიკერმა ივანიშვილის მიერ ნახსენებ ვიზიტებთან დაკავშირებით კომენტარზე უარი განაცხადა. ბანკის მიერ გავრცელებულ განცხადებაში კი ნათქვამია, რომ ჟენევის სისხლის სამართლის სასამართლოს დასკვნით, ლესკადრონი მაქინაციებს კოლეგებისგან მალავდა და მარტო მოქმედებდა. გარდა ამისა, სასამართლომ „კრედიტ სუისი“ „დაზარალებულ მხარედ“ ცნო. **„თანამშრომლების არასათანადო ქმედებებზე „კრედიტ სუისს“ ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომა აქვს“,** – განაცხადა ბანკმა.

სტატიის მიხედვით, ლესკადრონმა თქვა, რომ არ აპირებდა კლიენტების მოტყუებას, არამედ პანიკურ მდგომარეობაში ჩავარდა, როდესაც 2008 წლის ფინანსური კრიზისის დროს დანაკარგი განიცადა. ამის გამო მან დაიწყო სავაჭრო ორდერების გაყალბება, რათა ივანიშვილის ანგარიშებიდან აღებული ფულადი სახსრების მეშვეობით ფუჭი ფსონები დაეფარა.

სტატიაში ვკითხულობთ, რომ 2018 წელს ლესკადრონი დამნაშავედ ცნეს იმ სქემის ორგანიზებისთვის, რომელმაც 143 მილიონი შვეიცარული ფრანკის (144 მილიონი აშშ დოლარი) ზიანი გამოიწვია. ასევე დადგინდა, რომ სიცრუის შედეგად მან 30 მილიონი ფრანკის მოპოვება შეძლო. ბანკის სხვა კლიენტები, რომლებმაც სასამართლოზე ჩვენება მისცეს, ასევე დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ლესკადრონი ვერ მოახერხებდა ამდენი ხნის განმავლობაში თაღლითობას კოლეგების დახმარების ან თუნდაც, ბანკის ინფორმირებულობის გარეშე.

„არის დრო, როცა უნდა ვეძებდეთ დამნაშავეებს და განვიხილავდეთ თეორიებს შეთქმულების შესახებ და არის დრო, როცა უნდა ვიღებდეთ კანონიერ გადაწყვეტილებებს და ამჟამად, ამ უკანასკნელის დროა“, – თქვა ლესკადრონის ადვოკატმა სიმონ ნტამ.

ინტერვიუში ივანიშვილმა თქვა, რომ ვერ იხსენებს, კონკრეტულად რომელ წლებში შედგა ლესკადრონის ვიზიტები საქართველოში. გამოძიებასთან დაახლოებული პირის ინფორმაციით კი, ვიზიტი 2015 წლის ივნისში, აღიარებით ჩვენებამდე რამდენიმე თვით ადრე შედგა, რა დროსაც, მას სამი კოლეგა ბანკირი ახლდა. თუმცა, იმავე წყაროს მიხედვით, კოლეგები ადგილზე იმისთვის იმყოფებოდნენ, რომ ივანიშვილის მინდობილობითი ფონდების გადანაწილების საკითხი მის მეუღლესთან განეხილათ. ერთ-ერთი ბანკირის თქმით, მას არ უნახავს, რომ ლესკადრონს თავისი კლიენტისთვის რაიმე ამონაწერი გადაეცა.

ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲔᲓᲒᲐᲪᲠᲣᲔᲑᲣᲚᲘᲐ, 1990-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲖᲦᲣᲓᲐᲕ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲙᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ „ᲕᲔᲚᲣ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲨᲘ, ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲣᲪᲓᲘᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ, ᲠᲐᲪ ᲜᲐᲮᲐ „ᲙᲠᲔᲓᲘᲢ ᲡᲣᲘᲡᲨᲘ“.

„ᲕᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲔᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲗ ᲑᲐᲜᲙᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ „ᲙᲠᲔᲓᲘᲢ ᲡᲣᲘᲡᲘ“, ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ“, – ამბობს ივანიშვილი.

მხილების იძულების მიზნით, საქართველოს მოქალაქემ ბრძოლა სინგაპურში, ახალ ზელანდიასა და ბერმუდშიც განაგრძო, სადაც „კრედიტ სუისს“ აქვს მინდობილობითი ფონდები და სადაზღვევო ერთეულები, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა მისი ფულის ინვესტირება. გასულ წელს ნიუ იორკში მალკინის ადვოკატებმა „კრედიტ სუისს“ ფედერალურ სასამართლოში უჩივლეს. ისინი ცდილობენ, რომ „კრედიტ სუისს“ იმ დოკუმენტების გადმოცემა აიძულონ, რომლებიც, მათი აზრით, ლესკადრონის ქმედებას ნათელს მოჰფენს.

ივანიშვილმა თქვა, რომ საქმე ეხება არა ფულს **(„იმაზე მეტი მაქვს, ვიდრე მჭირდება“),** არამედ პრინციპებს“, – აღნიშნულია სტატიაში, სადაც მოყვანილია ბიძინა ივანიშვილის სიტყვები: – **„რაც არ უნდა გახდეს საჭირო, რა დროც არ უნდა დამჭირდეს, უკან არ დავიხევ“.**

სოციალურ ქსელში გაჩნდა ფეიკგვერდები, სადაც მიზანმიმართულად მიმდინარეობს გურამ შარაძის შვილის რუსუდან შარაძის დისკრედიტაცია. პირველი – თითქოს მან დედამთილი დაჭრა, რომელიც საავდმყოფოშია გადაყვანილი; მეორე – საქმე ეხება 1 დღის ჩვილის გაშვილებას. გვერდზე, რომელიც სახელით „დავეხმაროთ ერთმანეთს“ არის დარეგისტრირებული, „ბავშვის მშობელი“ წერს, რომ რუსუდან შარაძემ მისი ბავშვი ფულის სანაცვლოდ გააშვილა და თავად დედას უთხრეს, რომ შვილი გარდაიცვალა.

ამ „ისტორიის“ გაგრძელება ისაა, რომ თითქოს დედამ ჩვილი მოგვიანებით იპოვა, მაგრამ სად და რა ვითარებაში, ე.წ. „დაზარალებული“ უკვე ამის შესახებ არ წერს. თავად შარაძე მის წინააღმდეგ მიმდინარე ცილისმწამებლურ კამპანიას მამის მკვლელობის საქმეს უკავშირებს და აცხადებს, რომ გურამ შარაძის მკვლელობა შეუკვეთა მიხეილ სააკაშვილმა, ორგანიზატორობა გაუწია დათა ახალაიამ, ხოლო ფიზიკურად შეასრულეს სპეცრაზმელებმა: თემურ ჯგერენაიამ და გია ფაჩულიამ.

for.ge რუსუდან შარაძეს ესაუბრა.

მკვლელობა შეუკვეთა სააკაშვილმა, ორგანიზატორი იყო დათა ახალაია, ხოლო შეასრულეს სპეცრაზმელებმა: თემურ ჯგერენაიამ და გია ფაჩულიამ

რუსუდან შარაძე:

მამაჩემი მოკლეს იმიტომ, რომ... გურამ შარაძე იყო!

ვეყრდნობი მაშინდელ ძალოვან სისტემაში მომუშავე მოწმეებს, რომლებიც ყვებიან გაუგონარ ისტორიებს, ხელს აძებენ დათა ახალაიას და ასახელებენ მკვლელობის შემსრულებლებს – თემურ ჯგერენაიასა და გია ფაჩულიას. ვეყრდნობი საქმის მასალებს, სადაც ნათლად ჩანს, როგორ შეკერა თეთრი ძაფით სააკაშვილის ე.წ. გამოძიებამ გურამ შარაძის მკვლელობა. ის გახსნილია, დარჩენილია მხოლოდ ოფიციალურად გამოცხადება.

– ქალბატონო რუსუდან, რა ხდება თქვენ გარშემო, რატომ და რა მოტივით უკავშირდება თქვენი სახელი კრიმინალს?

– სასაცილოა მდარედ შესრულებული ყველაფერი. სხვა დროს რომ მომხდარიყო, არც ღირდა ყურადღების გამახვილება. აღსანიშნავია, რომ ფეიკნიუსები გავრცელდა მაშინ, როდესაც პატრიარქის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია პიკს აღწევდა და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა შოკში იყო. ახალი არაფერი ჩამიდენია, მაგრამ ვიღაცამ ჩემთვის მაინც მოიცალა. დიდი ხანია ვიცი, რა ძალასთან მაქვს საქმე. სოციალური ქსელები, სანამ ასეთი პოპულარული გახდებოდა, რა არ მომიგონეს. ყველაფერს რომ თავი დავანებო, გაიხსენეთ, რა ჭორები დაყარეს მამაჩემის მკვლელობისთანავე. რად ღირს თირკმლის ისტორია, თითქოს, გიორგი ბარათელმა იმიტომ მოკლა გურამ შარაძე, რომ ის თირკმლის ამოჭრას უპირებდა. ასე რომ, ყველაფრისთვის მზად ვარ.

– ფაქტია, რომ ეს არის მიზანმიმართული კამპანია. როგორ ფიქრობთ, ვინ დგას ამის უკან?

– მტერი არ მყავს, გარდა მამაჩემის მკვლელებისა. ვგულისხმობ მთლიანად სააკაშვილსა და მის პოლიტიკურ ბანდას. დღეს ისინი გადანაწილებულები არიან სხვადასხვა პარტიებში. კონკრეტულად ვერავის დავადებ ხელს. თუმცა, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, საიდან ისვრიან კენჭებს. თუ უნდათ, ტყვიებიც ისროლონ. ჩემ წინააღმდეგ რაც არ უნდა ჩაიდინონ, ვერაფერი შეცვლის ფაქტს, რომ გურამ შარაძის მკვლელობა შეუკვეთა მიხეილ სააკაშვილმა, ორგანიზატორობა გაუწია დათა ახალაიამ, ხოლო ფიზიკურად შეასრულეს სპეცრაზმელებმა: თემურ ჯგერენაიამ და გია ფაჩულიამ. ყველაფერი დევს მკვლელობის საქმეში და ვერავინ აუვლის გვერდს. სუს-ს მეტი მტკიცებულებები აქვს.

– თუ მიმართეთ პროკურატურას, თუ არ მიგიმართავთ, რატომ? არ ენდობით? და თუ არ ენდობით, ამის მიზეზიც გექნებათ...

– ოფიციალურად არ მიმიმართავს, მაგრამ დავინტერესდი. აღმოჩნდა, რომ ინფორმაცია, უკიდურესად შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლურიც რომ იყოს, „დანაშაულის ნიშნებს“ თუ არ შეიცავს, არაფერს ნიშნავს. არ ვიცი, რა იგულისხმება „დანაშაულის ნიშნებში“, მაინცდამაინც, ვიღაცას გული გაუსკდეს? მარტო მე ხომ არა ვარ, რამდენ ადამიანზე ვრცელდება საშინელი ცილისწამება?! ნებისმიერს შეუძლია, ვისაც მიზანში ამოიღებს, ანონიმურად გაუვრცელოს, რაც მოესურვება. თუმცა, კანონი კიდეც რომ მაძლევდეს შესაძლებლობას, მაინც არ დავხარჯავდი დროსა და ენერგიას.

– ეს ფეიკნიუსი უკავშირდება გურამ შარაძის მკვლელობის საქმეს?

– ჩემი აზრით, მხოლოდ გურამ შარაძეს უკავშირდება და მე არაფერ შუაში ვარ. თავიანთ ჭკუაში, ჩემი „თავის მოჭრით“ მამაჩემის პიროვნებისა და მისი მკვლელობის საქმის დისკრედიტაცია სურთ. თუმცა, პირიქით ხდება და უზომოდ მადლიერი ვარ იმ უამრავი მეგობრისა თუ უცხო ადამიანის, ვინც საკადრისი პასუხი გასცა ცილისმწამებლებს. ნახეთ, რა ხდება ქვეყანაში?! ყოველდღე დასტურდება, რომ გურამ შარაძე ცამდე მართალი იყო ყველაფერში, რასაც ამბობდა. დღეს სააკაშვილი თავს იმართლებს და ბოკერიას ადებს ხელს ანტიქართული და ანტისაეკლესიო პოლიტიკის გატარებაში. დასტურად კისერზე ჩამოკიდებულ ჯვარს გვაჩვენებს.

ორივეს ერთად ამხელს მათი შავბნელი საქმეების მოწმე და მონაწილე ნინო ბურჯანაძე. საეკლესიო პირები გამოდიან ტელევიზიით და ადასტურებენ ყველა სიტყვას, რასაც გურამ შარაძე 15-20 წლის წინათ ამბობდა და რაც საპატრიარქოში დაატრიალა სააკაშვილის ბანდამ. ახლა, როდესაც პატრიარქის წინააღმდეგ გაუგონარი ცილისმწამების მომსწრენი გავხდით, ვინ არ მირეკავდა, ვინ არ მწერდა და ყველა ერთსა და იმავეს მეუბნებოდა – რა მართალი იყო მამაშენი! კეთილისმსურველებს თუ გახსენდათ, მკვლელებს დაავიწყდებოდათ? გურამ შარაძეზე რა ფეიკი უნდა შექმნან? ამიტომ მოიცალეს ჩემთვის.

– თქვენ არ გჯერათ, რომ მკვლელი არის ბარათელი და შეხვდით კიდევაც მას, რატომ გამორიცხავთ, რომ მკვლელი არის ბარათელი?

– ძალიანაც რომ მოენდომებინა, ბარათელი ამ მკვლელობას ასე პროფესიულად ვერ ჩაიდენდა. ეს სპეცრაზმელების შესრულებულია. ბარათელს არც მოტივი ჰქონია, მაგრამ მარტო ამის მიხედვით არ ვმსჯელობ. ვეყრდნობი ე.წ. „ალდაგის“ ფირს, რომელზეც მკვლელობაა აღბეჭდილი და იქ ბარათელი არსად ჩანს. ვეყრდნობი, აგრეთვე, თვითმხილველების ჩვენებებს, რომლებიც ამბობენ, რომ ბარათელისგან სრულიად განსხვავებული მკვლელი (თუ მკვლელები) ნახეს.

ვეყრდნობი მაშინდელ ძალოვან სისტემაში მომუშავე მოწმეებს, რომლებიც ყვებიან გაუგონარ ისტორიებს, ხელს ადებენ დათა ახალაიას და ასახელებენ მკვლელობის შემსრულებლებს – თემურ ჯგერენაიასა და გია ფაჩულიას. ვეყრდნობი საქმის მასალებს, სადაც ნათლად ჩანს, როგორ შეკერა თეთრი ძაფით სააკაშვილის ე.წ. გამოძიებამ გურამ შარაძის მკვლელობა. ის გახსნილია, დარჩენილია მხოლოდ ოფიციალურად გამოცხადება.

– რა ხდება გურამ შარაძის მკვლელობის საქმის ირგვლივ?

– მას შემდეგ, რაც პროკურატურის კარი გამოვიჯახუნე, ამ საქმეზე სრული სიყრუეა. გურამ შარაძის სახელს ტაბუ ადევს ყველგან. დღეს ე.წ. პოლიტიკოსები ერთმანეთს ხოცავენ საკითხებისთვის, რაც მამაჩემთან სისხლხორცეულად არის დაკავშირებული და მისი სახელის ხსენებაც არ არის. მკვლელები რომ ჩუმად არიან, ბუნებრივია, მაგრამ მეცოდება „ოცნება“, სადაც უამრავი გულშემატკივარი მყავს და თვალებში ვერ მიყურებენ...

– რა გითხრათ ბარათელმა, როდესაც მას შეხვდით?

– 2016 წლის გაზაფხულზე გიორგი ბარათელს სამჯერ შევხვდი გლდანის ციხეში. საათობით ვისაუბრეთ. ის მოყვა თავის ვერსიას. რაღაც დეტალები არ დაემთხვა ჩემსას, მაგრამ 100%–ით თავი არასდროს დამიდია, რომ ჩემ მიერ ჩამოყალიბებული ვერსიის ყველა ნიუანსში სიცხადეა. ჩემთვის მთავარია ერთადერთი – გიორგი ბარათელს მამაჩემი არ მოუკლავს. მკვლელობის მომენტში ის საერთოდ არ იმყოფებოდა მელიქიშვილის ქუჩაზე. ბარათელი და მე შევთანხმდით, გამოძიება თუ დადებდა ერთ მტკიცებულებას იმის დასტურად, რომ მისი ნაამბობი სიმართლეა, მაშინ პროკურატურას ოფიციალურად მისცემდა ჩვენებას.

მეუბნებოდა – შენ აქედან გახვალ, მე საკანში უნდა შევბრუნდეო და მაგალითად მოჰყავდა ფაქტი, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან დაიწყო ყვირილი, შველას ითხოვდა საზოგადოებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, პროკურატურას სთხოვდა, დამკითხეთ, მე არ მომიკლავს გურამ შარაძეო. პასუხად რა მიიღო? 2012 წლის ნოემბერში ციხეში პროვოკაცია მოუწყვეს და ორწლიანი სასჯელი დაუმატეს. მითხრა ისიც, რომ ყოველ ჯერზე, მიმართავდა პრეზიდენტ მარგველაშვილს შეწყალებისთვის, აგრეთვე, მიმართავდა ე.წ. უდოს კომისიას, მაგრამ სულ უარს იღებდა. ფიქრობდა, ეს იყო ტესტი, რომ „ოცნებას“ არ სურდა გურამ შარაძის მკვლელობის გახსნა.

– სად არის ახლა ბარათელი?

– მერე აღარ მინახავს. 2017 წლის 17 ნოემბერს გამოვიდა ციხიდან. 2018 წლის 10 აპრილს პრესკონფერენცია გავმართე, სადაც მტკიცებულებებით ვამხილე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომ ის ხელს უშლიდა გურამ შარაძის მკვლელობის გამოძიებას. ზუსტად 19 დღეში გიორგი ბარათელმა საქართველო საბერძნეთის გავლით დატოვა და მისი კვალი ევროპაში დაიკარგა. ეს არის პროკურატურისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ოფიციალური ინფორმაცია. ჩემი აზრით, ის ქვეყნიდან გაიყვანეს, ყოველ შემთხვევაში, ვიღაც რომ დაეხმარა, დააფინანსა და საბუთები გაუკეთა, ფაქტია.

ექსკლუზიურად გეტყვით, რაც არსად მითქვამს – შარშან, ჩემი წყაროებით, მას ევროპის ერთ-ერთ ქალაქში მივაგენი. როგორც გავიგე, მძიმე სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჩემი წერილი გადასცეს, სადაც ვთხოვდი, გამომხმაურებოდა. თუ თანახმა იქნებოდა, „რკინის ქალამნებს“ ჩავიცვამდი, მტკიცებულებებით „შეიარაღებული“ ჩავიდოდი და შესაბამის ორგანოებს დავუმტკიცებდი, რომ ის არის მსხვერპლი, საქართველოში დღესაც იდევნება და მისი სიცოცხლე ისევ საფრთხეშია.

2011 წელს შვეიცარიამ ხომ მამაჩემის მკვლელობის გამო მომცა პოლიტიკური თავშესაფარი?! დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე, ერთად რომ წარვდგებოდით, ვინ დაგვიდგებოდა წინ?! ბევრი ვიფიქრე, სანამ წერილს გავგზავნიდი. ვშიშობდი, არ დამეფრთხო. ალბათ, ძალიან გაოცდებოდა, როდესაც გაიგებდა, რომ, იქაც მივაგენი. თუმცა, ჩემს თავს ვერ ვაპატიებდი, არ გამომეყენებინა შესაძლებლობა, რომ გარკვეულწილად, სხვაგან მაინც ეზეიმა სამართალს. არ გამომეხმაურა. მესმის მისი. არ ვიცი, ახლა სად არის, დაკავშირების მცდელობაც აღარ მქონია.

– მამის მკვლელობაში პირად მოტივს გამორიცხავდით და პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე მიუთითებდით და მკვლელობის დღიდან ცდილობთ დაამტკიცოთ, რომ ეს მკვლელობა მაშინდელმა პრეზიდენტმა შეუკვეთა. თუ ამ ვერსიას გავყვებით, გამოდის, რომ პროკურატურა სააკაშვილის დანაშაულის დაფარვას ცდილობს?

– დიახ, სამწუხაროდ, ასეა. მეტიც – ნახეთ, სად არიან დღეს გურამ შარაძის მკვლელობის მთავარი მოწმეები? ბარათელზე გითხარით. გურიკა ქადარია, რომლის ჩვენების საფუძველზე, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება, 2014 წელს ხელახალი გამოძიება დაიწყო, კარგა ხანია, გადახვეწილია საქართველოდან. კიდევ ერთი „ოქროს“ მოწმე ვახტანგ გაბელია, სუს-მა ისე გადამკიდა, რომ შარშან აქეთ მოკვლით მემუქრებოდა. რაც შეეხება მკვლელებს – თემურ ჯგერენაია, ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს. გია ფაჩულია სამეგრელოში, შსს-ს დაქვემდებარებულ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში ერთ-ერთი განყოფილების უფროსია.

– ქალბატონო რუსუდან, ფიქრობთ, რომ ამ საზარელი მკვლელობის მოტივი, ისევე როგორც მკვლელი, ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება?

– მკვლელებზე გითხარით. პოლიტიკური მოტივი თავიდანვე ცხადი იყო, მაგრამ მკვლელობის ისეთი ფანტასტიკური სცენარი დადგეს, რომ თავდაპირველად დაუჯერებლადაც ჟღერდა ჩემი განცხადებები. თუმცა, არც სააკაშვილის ოფიციალური ვერსია მიიღო ხალხმა. დღეს უკვე ბრმა და ყრუ უნდა იყო, რომ არ დაინახო – გურამ შარაძე მოკლეს იმიტომ, რომ გურამ შარაძე იყო!

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

◎ ლექსის კედელი ქუთაისში

სიყვარულის ულამაზესი საგალობელი

ქართველისთვის ლექსი ის არის, ფიცხელ ომში რომ მღერიდა მაჩაბელი და საუკუნეების მანძილზე თავს დატეხილი განსაცდელისას იმასაც შთააგონებდა, რომ „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. ლექსი ის არის, რომელმაც ულამაზესი თეთრი ხიდის რკინის მოაჯირზე „პიკასოს ბიჭი“ შემოასკუპა, ხოლო სავალი ნაწილიდან ხილული გახადა თეთრი ქვების საოცარი სილამაზე და იქ, სადაც აკაკის, გალაკტიონს, რაფიელ ერისთავს და ცისფერყანწელებს უვლიათ, მათ ნაფეხურებზე დედამდინარისა და ცის შემაერთებელი „ჩაკეტილი“ სივრცე სავალი გზის ფოლადში გამჭვირვალე და შთამაგონებელ სტრიქონებად ამოჩარხა.

„რა აქიმი დასნეულდეს რაგინდ გინდა საქებარი, მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშიცა შემტყობარი“, — ბრძანებდა სულმნათი. არადა, ხომ ცხადზე უცხადესია, რომ კარგა ხანია, ჩვენი პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი პირველკაცობისაკენ სწრაფვის უმძიმესი სენით არის შეპყრობილი და ამან ახალფეხადგმულ ქვეყანას არაერთხელ დაატეხა უდიდესი უბედურება — ბაზალეთური ძმათამკვლელი ომი, რომელმაც მრავალ სხვა ღირსეულ მამულიშვილთან ერთად, აგერ, ჩვენს თვალწინ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეიწირა, „მაჯაშიცა შემტყობარად“ კი, სამწუხაროდ, დღემდე ვერავინ ივარგა.

საბედნიეროდ, ამჯერად ბედნიერი გამონაკლისი ქუთაისი და მისი იმ გამზირის ცენტრი გამოდგა, რომელიც აკაკი წერეთლის სახელს ატარებს. ეს ის ადგილია, სადაც სულმნათთან ერთად ბევრჯერ უვლიათ გალაკტიონსაც, ცისფერყანწელებსაც და ქუთაისში მოღვაწე მათ იმ სასიქადულო წინამორბედსაც, „სამშობლო ხევსურისა“ რომ გვაჩუქა და დაგვმოძღვრა: ნუ გაცვლით „სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“.

შემთხვევით არ შემახსენა ლადო ასათიანისეული „შადიანი“ და სხვა ზემოთქმული იმან, რაც 18 ნოემბერს, საღამოს 6 საათიდან გვიან ღამემდე აკაკი წერეთლის გამზირის ცენტრში ხდებოდა. ფიცხელ ომში შესრულებულ „სიმღერას“ ბევრი რამით წააგავდა ლექსის კედლის გახსნა იმ წუთებში, როდესაც საქართველოს პარლამენტს ჩამოგლიჯეს სიცრუისა და მორიგი ორპირობის სიმბოლო — ძმათამკვლელობის დაუოკებელი სურვილის მაუწყებელი უდიდესი ეროვნული სირცხვილი — ბოქლომები და გადარეცხეს გზების ჩახერგვის მიზნით წინასწარ მზაკვრულად შეძენილი და საგანგებოდ შერჩეული ტომრებით მიზიდული ქვიშა!

არც ის გახლავთ შემთხვევითი, რომ პოეზიის მადლის მოყვარულთა ამ ხალხმრავალი შეკრების წამყვანმა, თავადაც ნიჭიერმა ხელოვანმა და ძმასთან ერთად მსოფლიოში უკვე სახელმოხვეჭილ მომღერალთა თაობების აღმზრდელმა დარეჯან გრძელიშვილმა ყველაზე საპატიო მოვალეობის შესრულება — კედლიდან საბურველის ჩამოხსნა ქალაქში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ოჯახს მიანდო, ორ საპატიო ქუთაისელს — მალვინა ბაბუხადიასა და მის მეუღლეს — ზურაბ ქაჯაიას.

დაუშვეს საბურველი და გამოჩნდა ქართული კალიგრაფიის ახალი შედევრი. თავად კალიგრაფი — ლელო ბარბაქაძე პოეზიის ზეიმში მონაწილეობს, მაგრამ სხვებივით კი არ დგას, არამედ ამჯერად სკამზე ზის, რადგან რამდენიმე დღეში ჩვილს ელოდება.

თავად ლექსი ნათია ჯიმშელეიშვილს ეკუთვნის, იმ პოეტსა და დიდებული ოჯახის დედაბოძს, რომელიც გულმხურვალე მამულიშვილობით გამოირჩევა და მრავალ სხვა სასიქადულო წამოწყებასთან ერთად უკვე წონადი წვლილი აქვს შეტანილი მემლექქეთს დანატრებულ ქართველებთან ურთიერთობაში.

რატომ მაინდამაინც მისი ნაწარმოები ამოირჩია კედელზე წასაწერად ამ ფრიად საინტერესო იდეის ავტორმა შალვა კამლაძემ, მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულმა იმ ახალგაზრდამ, რომელიც ადრეც ცნობილი იყო მოვლენათა ხედვის თავისებურებით?

მოდით და ნუ ვიდავებთ ამაზე.

ყველას რაიმე აქვს სახსოვარიო! — ბრძანებდა დიდი გალაკტიონი, რომლის დაბადების დღე 17 ნოემბერს მთელ საქართველოსთან ერთად ჭყვიშში ზეიმით აღნიშნეს ორი წლის წინათ აღდგენილი სალონური საღამოების იმ ქუთაისელმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც თავკაცობენ და თავქალობენ კეთილი საქმის თაოსნები, მრავალმხრივი შემოქმედი თემურ ძიძიგური და ჩოხოსანი პოეტი ირმა ქურასბედიანი. ისინი 18 ნოემბერსაც გამოირჩეოდნენ და გულთბილ სიტყვებთან ერთად პოეზიის მოყვარულთა წინაშე სიმღერითა და ლექსითაც წარსდგნენ.

არც ქალაქის ხელმძღვანელობა დარჩენილა ვალში. მათი სახელით სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის მერის მოადგილემ ნინო თვალთვაძემ...

პოეზიის ამ ჭეშმარიტ დღესასწაულზე სიტყვით გამომსვლელი ბევრი იყო და არც ერთ მათგანს არ დავიწყნია, მადლობა ეთქვა იმათთვის, ვინც ამ საინტერესო წამოწყებას ხორცი შეასხა. თუმცა აქვე ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გამორჩეული სიამაყით ახსენებდნენ თავად იდეის ავტორს, რომელიც ამჟამად პარიზშია და წარმატებით ებრძვის იმ სენს, რომლის სახელის სამუდამოდ დავიწყებას ნატრობდა ლადო ასათიანი. შალვა ამ უაღრესად კრიტიკულ დღეებშიც არ ივიწყებს, რა სალბუნი ესაჭიროება არა მხოლოდ პირადად მას, არამედ, რაც გაცილებით მნიშვნელოვნად მიაჩნია, მის ქალაქსა და ქვეყანას, სადაც ყველა ქართველი პოეტია და სადაც დიდმა რუსთველმა გვასწავლა, რომ „სიყვარული აღგვამაღლებს“, რამეთუ თავად ღმერთია სიყვარული, პოეზია კი მისი ულამაზესი საგალობელი!

ალექსანდრე შენგელია,

სურათებზე: ლექსის გახსნის ზეიმი ქუთაისში.

ნუგზარ ხონელიძის ფოტო

1335 წლის ხე — შეისწავლეს სვანურ უთხოვართა ასაკი

არასამთავრობო ორგანიზაცია „სენმა“ ხაიშის ტყეში უთხოვარების ასაკი შეისწავლა. ლაბორატორიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ხეების წლოვანება ათასწლეულზე მეტია.



Courtesy Photo

იშვიათი ხეების ასაკის დასადგენად ცხრა უთხოვარიდან ადვილად მისადგომი და ყველაზე საღ მდგომარეობაში მყოფი სამის ღერო ილიას უნივერსიტეტის ლაბორატორიაში წაიღეს. ერთი ხის საშუალო ასაკი 1005 წლით განისაზღვრა, მეორის — 88-ით, მესამისა კი — 1 335 წლით. ყველაზე „ასაკოვანი“ უთხოვარი, შესაძლოა, 1 550-1 650 წლისაც იყოს.

რეზო გეთიაშვილი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) წარმომადგენელი:

„რაც ვნახეთ, 9 გოლიათი ხეა. არის სხვა უფრო ნაკლები ასაკის ხეებიც. ყველაზე დიდისგარშემოწერილობა 4 მეტრზე მეტია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ერთგვარი აღმოჩენაა, რადგან 1600 წელზე ხნიერი ხე ბევრი არ არის. გარდა იმისა, რომ ამას სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს, ტურისტებისთვისაც საინტერესოა. თან ძნელად მისადგომიც არ არის, სოფელ მარღიდან 500 მეტრშია. შეიძლება ის ტერიტორია ისე მოეწყოს, რომ დამთვალიერებლისთვის მიმზიდველ ადგილად იქცეს. ამაზე დიდხნოვანი ეგზემპლარები დასავლეთ საქართველოში არ გვაქვს. ეს ხეები ორჯერ უფრო ძველია, ვიდრე თელავის ცნობილი ჭადარი“.

„სენის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში უთხოვარი თითქმის ყველგან იზრდება, მაგრამ მათი რაოდენობა ძალიან ცოტაა. ამ ხის მერქანი მკვრივი, წყალგამძლე და ულპობელია. მისი ბოძები საუკუნეების მანძილზე მიწაშიც არ ლპება და ფერსაც არ იცვლის. გულის სიწითლის გამო უთხოვარს წითელ ხესაც უწოდებენ. განსაკუთრებით ძვირად ფასობს 250 წელზე მეტი ხნის უთხოვარი. ის ძალიან ნელა იზრდება, რის გამოც, როგორც რელიქტური ორგანული სამყაროს წარმომადგენელი, თანამედროვე გეოლოგიურ ეპოქაში ევოლუციურ ჩიხშია მოქცეული და გადაშენების გზას ადგას.

კარლო ამირგულაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსი:

„უთხოვარი უნიკალური სახეობაა. მისი ასაკი 4 ათას და ზოგჯერ მეტ წელსაც აღწევს. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ბევრი მოჭრეს, მისგან გემებს ამზადებდნენ. წითელ წიგნშია შეტანილი როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში“.

„სენი“ გეგმავს უთხოვარებთან დაკავშირებით რეგიონის მთავრობასა და ადგილობრივ სატყეო სამსახურთან მოლაპარაკება გამართოს. ორგანიზაციაში დარწმუნებული არიან, რომ ეს ხეები შეიძლება ადგილობრივი ტყეების სავიზიტო ბარათად იქცნენ.

თეა თოფურია

„მონანიება“ ბრიუსელში

ბელგიის დედაქალაქი ბრიუსელი საერთაშორისო კინოფესტივალს მასპინძლობს. 24 ნოემბერს კინოფესტივალზე ცნობილი ქართველი რეჟისორის თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიების“ ჩვენება გაიმართება.

ბრიუსელში „მონანიებას“ რეჟისორი ნანა ჯანელიძე წარადგენს, როგორც ფილმის სცენარის ავტორი. თენგიზ აბულაძემ „მონანიება“ 1984 წელს გადაიღო. „პერესტროიკის წინასწარმეტყველებად“ წოდებული ფილმის პრემიერა კი ოდნავ მოგვიანებით შედგა. მანამდე ქართველი საზოგადოება არალეგალური გზით გავრცელებული ვიდეოკასეტებით აწყობდა კინოსურათის დახურულ ჩვენებებს.

„მონანიების“ პირველი ჩვენება ტრიუმფით გაიმართა მოსკოვში. ფილმი კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზით აღინიშნა.

ბრიუსელის საერთაშორისო კინოფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ფილმები უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ესტონეთიდან, ჩეხეთიდან, რუმინეთიდან, გერმანიიდან და ხორვატიიდან. საუბარია ფილმებზე, რომლებიც უპირისპირდებიან ტოტალიტარულ რეჟიმებს.

◎ ლეგიონერი

არმიას დაარღვია

ევროლიგის მეცხრე ტურში თორნიკე შენგელიას „ბასკონიამ“ მოსკოვის ცსკა-ს უმასპინძლა და მეტად ფასეული გამარჯვება მოიპოვა — 80:70. შეხვედრა დაძაბული გამოდგა, მაგრამ გადამწყვეტი ფაზა ესპანელებმა უკეთ ჩააატარეს და მნიშვნელოვანი წარმატებაც იზეიმეს.

„ბასკონიას“ ქართველი კაპიტანი ლიდერობდა, რომელიც მოედანზე საუკეთესო იყო. თორნიკემ 32 წუთში 22 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. შენგელიამ 8-დან 5 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 23-ს გაუტოლდა.

„ჯვაროსანთა“ მძიმე ფორვარდს ორივე გუნდის რიგებში როგორც მარგი ქმედების კოეფიციენტით (23), ისე ჩაგდებული ქულების (22) რაოდენობით საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, MVP-ის ტიტული დამსახურებულად მიიღო.

რაც შეეხება მეტ ჯენინგს, ამერიკელმა „ჩვენებურმა“ 19 წუთში 7 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

„ბასკონიას“ 4 მოგების წილ 5 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მეათე პოზიციაზეა. ვიტორიელები მომდევნო ტურში ხვალ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ უმასპინძლებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა იოლად მოიგო მაჩანჩალათა „დ“ ლიგის ჯგუფური რაუნდი და 26 მარტს ევროპა ლიგის ნახევარფინალურ პლეი-ოფში ბელარუსს უმასპინძლებს, საიდანაც ჩვენთვის დღემდე აუხდენელ ოცნებად ქცეულ კონტინენტის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

გულშემატკივართა ინტერესის გათვალისწინებით, გთავაზობთ უეფას პირმშოს — ახალი ფორუმის პირველი ტურნირის ელიტური ლიგის ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემს.

ქულათა მაქსიმუმი — ბელგია, იტალია (10-10 მოგება). **უქულო ფინიში** — სან-მარინო, გიბრალტარი. **საუკეთესო შეტევა** — ბელგია (40 გოლი) და პროცენტულად — ინგლისი (37 გოლი 8 შეხვედრაში). **საუკეთესო დაცვა** — ბელგია, თურქეთი (3-3 გაშვებული ბურთი). **საუკეთესო ბომბარდირი** — ჰარი კეინი (ინგლისი) — 12 გოლი. მასვე ეკუთვნის უნიკალური მიღწევა — ათივე შეხვედრაში გაიტანა ბურთი. **უსუსტესი დაცვა** — სან-მარინო (51 გაშვებული გოლი). **საუკეთესო ასისტენტები** — მემფის დეპაი (ჰოლანდია), ედენ აზარი (ბელგია), ანტუან გრიზმანი (საფრანგეთი) — 3-3 შედეგიანი გადაცემა, შესაბამისად, 6, 8 და 10 მატჩში. **ყველაზე უხეში გუნდები** — ლატვია, ანდორა, მოლდოვა — 28-28 ყვითელი ბარათი. **ყველაზე უხეში მოთამაშე** — ხესუს რუბიო (ანდორა) — 6 გაფრთხილება 7 შეხვედრაში. **ყველაზე „სუფთა“ გუნდი** — გერმანია (3 ყვითელი და 1 წითელი ბარათი 8 შეხვედრაში). **უმკაცრესი მსაჯი** — ჯანლუკა როკი (იტალია) — 23 ყვითელი ბარათი 4 მატჩში. **მაყურებლის ინტერესი** — „უემბლის“ ლეგენდარულ სტადიონზე ინგლისელთა თითოეულ შეხვედრას საშუალოდ 80 819 ქომაგი ესწრებოდა. ამ მხრივ პროცენტულად ყველას ლვოვის „არენა ლვოვმა“ აჯობა, სადაც უკრაინელთა თამაშებზე სერბეთთან და ლუქსემბურგთან ტრიბუნებზე 34 915 მაყურებელი (99,4 პროცენტი) შეიკრიბა.

ამ დღეებში საფეხბურთო სამყარო შოკში ჩააგდო თანამდებობიდან 44 წლის არგენტინელ მწვრთნელ მაურისიო პოჩეტინოს დათხოვნამ, რომელმაც „ტოტენჰემი“ მაისში, მართალია, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, მაგრამ მიმდინარე პრემიერლიგაში სუსტი თამაში — ჯერჯერობით მე-14 ადგილი — არ აპატიეს. კულუარული ინფორმაციით, ახალგაზრდა ამბიციური სპეციალისტის მომავალი „ბარსელონას“ უკავშირდება.

ამასობაში გაირკვა მისი შემცვლელის ვინაობა „მამლების“ თავკაცის ამპლუაში. ესაა 56 წლის „განსაკუთრებული“ პორტუგალიელი ჟოზე მოურინიო, რომელიც ოპერატიულად, ერთთვიან მოლაპარაკებათა შედეგად გაფორმებული კონტრაქტის პირობების თანახმად, ახალ კლუბში 3,5 წელიწადში გასამრჯელოს სახით 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

დავძენთ, რომ ამავე პოზიციაზე „ლივერპულის“ ყოფილ ჩრდილოირლანდიელ მესაჭე ბრენდან როჯერსის კანდიდატურაც განიხილებოდა, მაგრამ...

◎ რაგბი

აფრიკული პატივი

2020 წლის ზაფხულის ტესტებზე „ბორჯღალოსნები“ სამხრეთ აფრიკას ეწვევიან და 18 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონ „სპრინგბოკთან“ ისტორიულ ტესტ-მატჩს გამართავენ.

„ქურციკებად“ ცნობილ სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან „ბორჯღალოსნებს“ აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2003 წლის მსოფლიო თასზე უთამაშიათ და ქართული რაგბისთვის ის შეხვედრა ისტორიული გამოდგა, რადგან რაგბის ფორუმზე პირველი ლელო სწორედ „ბოკეს“ გავუტანეთ. მატჩი ავსტრალიაში, სიდნეიში გაიმართა და მეტოქემ 46:19 იმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ნახევარსფეროს სარაგბო ქვეყნებიდან აქამდე ტესტ-მატჩი მხოლოდ არგენტინასთან გვქონდა, სამხრეთ აფრიკას კი პირველად ვეწვევით. „ბორჯღალოსნები“ მეორედ ხვდებიან მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს (2015 წლის მსოფლიო თასზე ახალ ზელანდიას შევხვდით), თუმცა, მსოფლიო თასს მიღმა ეს პირველად ხდება.

სამხრეთაფრიკელებთან მოლაპარაკებები იაპონიაში, მსოფლიო თასის ნახევარფინალური მატჩების წინ წარიმართა. მასში საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული „მსოფლიო რაგბი“, კერძოდ, ქართული რაგბის დიდი ქომაგი მარკ იგანი. სიტყვიერი შეთანხმება ოქტომბერში შედგა და ახლა ის ოფიციალურად გაფორმდა.

„მოხარულები ვართ ამ შესაძლებლობით და მინდა მადლობა გადავუხადო სამხრეთაფრიკულ მხარეს და „მსოფლიო რაგბის“ მხარდაჭერისთვის, რასაც ყოველთვის ვგრძნობდით. ეს ისტორიული მოვლენაა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონს სამხრეთ აფრიკაში ვეთამაშებით, რაც დიდი პატივია.

მოლაპარაკებები მსოფლიო თასის მსვლელობისას გვქონდა და ჯენტლმენურ შეთანხმებასაც იაპონიაში მივაღწიეთ, რაც უკვე ოფიციალურად დადასტურდა. სამხრეთაფრიკელები კეთილგანწყობილნი არიან ჩვენს მიმართ და შეთანხმებაც მარტივად შედგა. ვფიქრობ, გულშემატკივარი საინტერესო თამაშს იხილავს, რადგან ორივე გუნდი დაახლოებით ერთი სტილის მიმდევარია. არაა გამორიცხული, რომ სამხრეთ აფრიკაში ყოფნისას ადგილობრივ კლუბებსაც ვეთამაშოთ, რაც ჩვენს ტურნეს კიდევ უფრო საინტერესოს გახდის და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ამ ინფორმაციას უახლოეს პერიოდში გაცნობებთ“ — განაცხადა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ.

კობა კობახიძე

◎ წყალბურთი

მთავარია მონაწილეობა...

წყალბურთის ჩემპიონთა ლიგაზე თბილისის „დინამომ“ B ჯგუფში მეხუთე მატჩი ჩაატარა და მორიგი მარცხი განიცადა. რევაზ ჩომახიძის გუნდი საფრანგეთში „მარსელს“ ესტუმრა და წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდნენ და ოთხივე პერიოდი მოიგეს. ამის ფონზე რა გასაკვირია, რომ სოლიდური სხვაობა დაფიქსირდა — 17:7.

„მარსელის“ გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან მან ზედიზედ მესამე წარმატება იზეიმა და წინა ტურში უნგრეთში „ბუდაპეშტის“ ძლევით სენსაციაც მოახდინა.

თბილისის „დინამო “ 5 ტურის შემდეგ უქულოდ ჯგუფში ბოლო, მერვე ადგილზეა, ხოლო მომდევნო შეხვედრას 4 დეკემბერს შინ გერმანულ „ჰანოვერთან“ გამართავს.

ბეჟან დოლიძე

ხშირად გვესმის, ტოტალიზატორები ფულის მახედაა ქცეული და ახალგაზრდობას გვილუპავსო, მაგრამ, თურმე, არც მთლად მასეა საქმე და ღირსეულნი სათამაშო ბიზნესში დასაქმებულ თანამშრომლებშიც მოიძებნებიან. ერთ-ერთ მათგანს ახლა წარმოგიდგენთ.

გვესაუბრება ფეხბურთის ძველი გულშემატკივარი **ამირან გოგიბერიძე:** „ამას წინათ „კრისტალბეთის“ ფილიალში ბილეთი შევავსე, რომელიც მომგებიანი აღმოჩნდა. მართალია, დიდი თანხა არ იყო, მაგრამ მაინც გახარებული მივედი სალაროსთან კუთვნილის გასანაღდებლად, თუმცა, როგორც გაირკვა, შეცდომით სწორედ იღბლიანი ბილეთი დამიხევია.

გაწბილებულმა ყოველი შემთხვევისთვის მენეჯერ **ლერი შეროზიას** მაინც მივმართე და, ჰოი საოცრებავ — აფხაზეთიდან დევნილმა ვაჟკაცმა ყურადღებით მომისმინა, გულთან ახლოს მიიტანა საკითხი და როცა ბილეთის ნომრის ჭეშმარიტებაში დარწმუნდა, მოგებული თანხა მივიღე. ბუნებრივია, მადლიერი დავრჩი და მსურს, ეს საჯაროდ გამოვხატო“.

.გიორგი შოთაძე

მდუღარე ცრემლი

გივი ქურდიანის გარდაცვალების გამო



უშბის აღმოსავლეთით მყინვარს კიდევ ერთი უზარმაზარი ლოდი მოსწყდა და უკვდავებაში გაუჩინარდა. ცენტრალური კავკასიონის ცის კაბადონზე კიდევ ერთი მეგავარსკვლავი გაუჩინარდა და მეორე მზის სისტემაში გადაბარგდა. მტკიცედ შეთელილი სვანური ფაყვი, რომელიც მუდმივად სვანური სიბრძნით სავსე თავს ამკობდა და ათბობდა, მომავალში ქართულ მიწას გაათბობს, რომლის ქვეშაც თბილად იგრძნობენ თავს ჩემი საყვარელი ძმის **გივი ქურდიანის**, ძმების, ძმისშვილების და მეგობრების ნათელი სულები.

ღმერთო! სად მიგყავს ამდენი რჩეული სვანი ვაჟკაცები — რომ მიგყავს და აღარ მოგყავს: სად არის მეორე ბესარიონ ნიჟარაძე, ან აკაკი გელოვანი, რევაზ მარგიანი, მიხეილ ხერგიანი, ბექნუ, ჭიჭიკა, მაქსიმე, ბორია, ილიკო გაბლიანი, სილიბისტრო ნავერიანი, ეგნატე გაბლიანი, ბიძინა პირველი, ილია ფალიანი, ქალბატონი დოდო ფალიანი და სხვა მრავალი.

მიგყავს რჩეულნი და გვიტოვებ მათზე უკვდავებას: უშგულის ლამარიას — სადაც დიდი ბესარიონ ნიჟარაძე განისვენებს, „მარად ცოცხალ ხელოვნებას“, რომელიც ძეგლად ადგას აკაკი გელოვანის საფლავს და მის ნათელ ხსოვნას, ცოცხალ „მირანგულას“ და „ლილეს“ რევაზ მარგიანის მაგიერ, შორეულ ალტოს შვერილებს კლდის ვეფხვის მიხეილ ხერგიანის მაგიერ, ცენტრალურ კავკასიონს, ბექნუს, მაქსიმეს, ჭიჭიკას მაგიერ, რომლებმაც წრიაპებითა და სათითე თოკებით დაიპყრეს იგი, სამარადჟამო ყველაზე წმინდა და ყველაზე მაღალ საყდარს ტიანშანზე ილიკო გაბლიანის მაგიერ, მდინარე ენგურის მოგუგუნე ტალღებს, სადაც განისვენებს მოუსვენარი და ცისკენ მიმავალი ბორია კახიანის სული, გვიტოვებ სვანეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დიდ ისტორიას, მისი შემქმნელების: ბიძინა პირველის, ეგნატე გაბლიანის, სილიბისტრო ნავერიანის და ილია ფალიანის გარეშე. ზღვის ლომის უკვდავ სახეს სახელოვანი გმირის იაროსლავ იოსელიანის გარეშე.

რა დავარქვათ იმ უკვდავებას, რაც დიდმა ღმერთმა გივი ქურდიანს შეაქმნევინა ამ ქვეყანაზე.

ვფიქრობ, ღმერთი ბიბლიაზე მიგვანიშნებს — „გივი ქურდიანი შევქმენი ძე კაცისა მსგავსად ჩემისა“.

გმადლობთ უფალო.... გივი ქურდიანი შენგან გამოგზავნილი კაცი იყო დედამიწაზე, რომელიც არავის ჰგავდა თავისი უფაქიზესი სულით, სიწმინდითა და სიმართლით, გარდა შენისა. ამიტომაც ჩვენს თვალთაგან დაღვრილი ცრემლი სისხლია გივი ქურდიანისა, რადგან ყველა მის მეგობარში, ახლობელში, თანამშრომელში თუ მეზობელში, ან თუკი ვინმეს იცნობდა, ან თუკი ვინმე იცნობდა მას, ყველაში არის მისი უმანკო სისხლი, რომელიც თავისი სიყვარულითა და ერთგულებით გადაუსხა თანამოძმეთ, რომელსაც დღეს ნაწილობრივ ვუბრუნებთ მას.

ერთად მოვედით ამ ქვეყანაზე 83 წლის წინათ (1936 წელს), 65 წელი ვიმეგობრეთ სტუდენტობის პირველი დღიდან დღემდე (1954 წლიდან), ერთმანეთს დავშორდით 11 ნოემბერს საავადმყოფოში, ისე, რომ 65 წლის განმავლობაში სულ შენთან ყოფნა მინდოდა და მენატრებოდი, მომავალში, ალბათ, უფრო მომენატრები, მაგრამ, იმედია, მალე გნახავ, ამიტომაც აღარ გემშვიდობები.

გრიგოლ ონიანი



გივი ქურდიანი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ საქართველოს დამსახურებული მექანიზატორის, „აგროტექრემსერვისის“ დირექტორის, საქართველოს მიწათმოქმედთა და მექანიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის **გივი ქურდიანის** გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ მის ოჯახს და ახლობლებს.

გივი ქურდიანი დაიბადა 1936 წელს მესტიის რაიონის სოფელ მულახში. იქვე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1963 წელს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი და როგორც მოწინავე სტუდენტი, იქვე იქნა დატოვებული სამუშაოდ.

1964 წელს ბატონი გივი სამუშაოდ გადაიყვანეს „საქსოფლტექნიკის“ დიღმის სარემონტო ქარხანაში საამქროს უფროსად. 1970 წელს ამ ქარხნის მთავარი ინჟინერი გახდა. ამ პერიოდში გ. ქურდიანი ორჯერ გახდა საკავშირო სახალხო გამოფენის მონაწილე და დაჯილდოვდა შესაბამისი მედლებით. მის მიერ შექმნილმა და წარმოებაში დანერგილმა ტექნოლოგიურმა მოწყობილობამ გავრცელება პოვა რესპუბლიკის გარეთ არსებულ სარემონტო ქარხნებშიც.

ბატონი გივი ორი წელი მუშაობდა საგარეჯოს ავტოშემკეთებელ ქარხანაში მთ. ინჟინრის თანამდებობაზე. 1978 წელს დაინიშნა გაერთიანება „საქსოფლრემმანქანის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1979 წლიდან 5 წელი დაჰყო მესტიის რაიონში „საქსოფლტექნიკის“ საწარმოო გაერთიანების მმართველად. მისი ხელმძღვანელობით გაკეთდა ამ რაიონის ალპურ ზონაში 45 კმ-იანი საავტომობილო გზა, ხოლო მეცხოველეობის ფერმებში გაყვანილი იქნა სასმელი წყალი, რომელსაც რაიონის 6 სოფლის მოსახლეობაც იყენებს.

ბატონი გივი აქტიურად მონაწილეობდა მესტიის რაიონში მეურნეობების გაუქმებასა და მათ გლეხურ მეურნეობაზე გადაყვანაში, რამაც გარკვეული შედეგი მისცა რაიონის მოსახლეობას.

1984 წელს გ. ქურდიანი სამუშაოდ გადაიყვანეს ქ. თბილისში, დაინიშნა დიღმის სარემონტო ქარხნის დირექტორად. 1988 წელს აღნიშნული ქარხნის ბაზაზე შეიქმნა შპს „აგროტექრემსერვისი“, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი იყო სიცოცხლის ბოლომდე.

წარმატებული საქმიანობისთვის არაერთგზის იყო დაჯილდოებული ფულადი პრემიითა და მთავრობის საპატიო სიგელებით. იგი ცნობილია, როგორც ქველმოქმედი და შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალურ დახმარებას უწევდა გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს.

მისი სახელი და გვარი ასოცირდება ქვეყნის, ოჯახის, მეგობრების და საქმის სიყვარულთან. მისი დამსახურებაა ისიც, რომ მეუღლესთან ერთად შექმნა კარგი ქართული ოჯახი და ქვეყანას დაუტოვა შესანიშნავი შთამომავლობა შვილებისა და შვილიშვილების სახით.

ბატონმა გივიმ კაცურად განვლო ცხოვრების გრძელი გზა. მას არასოდეს დაივიწყებენ მისი ოჯახი, ახლობლები და მეგობრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

საქართველოს მიწათმოქმედთა და მექანიზატორთა საზოგადოება.

ვაჟა ქურდიანი, ნათელა ყურაშვილი, შალვა, კახაბერ ქურდიანები ოჯახებით უღრმესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქურდიანების საგვარეულოს დამფუძნებელ-წინამძღოლი, პატრიოტობისა და სამართლიანობის სიმბოლო, ბატონი

გივი ქურდიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.
მისამართი: ყაზბეგის 2ა.
დაკრძალვა 24 XI, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოზე.

მეუღლე ბელა, შვილები ნინო, თათია, მაკა, შვილიშვილები გიორგი, ბექა, ელენე, სალომე, ქეთა, რძალი ნელი ნარსაკიძე, სიძე გოჩა ჯიბლაძე, გია გოშთელიანი, მამუკა მერაბიშვილი, დები ნინა, ნორა ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ქურდიანი

პანაშვიდი 22, 23 XI, 17 სთ. მისამართი: ალ. ყაზბეგის 2ა.
გამოსვენება 24 XI, 14 სთ. საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების ტაძრიდან.

უახლოესი მეგობრები ირაკლი დვალი, ელგუჯა შაფაქიძე, ჯემალ კაციტაძე, რევაზ მახარობლიძე, არჩილ ვაშაკიძე, თამაზ კუნჭულია, ნუგზარ ებანოიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „აგროტექრემსერვისის“ დირექტორი

გივი ქურდიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

22-23 ნოემბერს თბილისში შესაძლოა, მოთოვოს

„21-23 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოში შენარჩუნებული იქნება ცივი, ღრუბლიანი და ნალექიანი ამინდი, დასავლეთ საქართველოში კი მხოლოდ ზოგან იწვიმებს, მომდევნო დღეებში კი ისევ უნალექო ამინდია მოსალოდნელი. ჰაერის ტემპერატურა დღის საათებში დასავლეთ საქართველოს დაბლობში +12, +17, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში +1, +6 გრადუსი დაფიქსირდება. შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, ზემო იმერეთსა, კოლხეთის დაბლობზე და გორი-სურამის მონაკვეთზე იქროლებს აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი.

თბილისში 22-23 ნოემბერს ქალაქის ცალკეულ უბნებში შესაძლოა, თოვლიც აღინიშნოს. ჰაერის ტემპერატურა ღამის საათებში 0, +2, დღისით კი +2, +4 გრადუსი იქნება. ჰაერის ტემპერატურა ღამის საათებში 0, +2, დღისით კი +2, +4 გრადუსი იქნება. 24-25 ნოემბერს უნალექო ამინდია მოსალოდნელი, ღამის საათებში ტემპერატურა — 1, -3 გრადუსამდე დაიკლებს.“, — აცხადებენ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

რუსეთში ცხოვრება რობოტებსაც უჭირთ...



რუსეთში ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტების შემქმნელი კომპანიის პირველი ექსპერიმენტი წარუმატებლად დასრულდა. პროგრამის დამკვეთი იყო სოციალური პოლიტიკის სამინისტრო, რომელმაც კომპანიისგან მოითხოვა ულტრათანამედროვე დანადგარის შექმნა, რომელსაც შეეძლებოდა, შეეთავსებინა ცოცხალი თანამოსაუბრის ფუნქციები რუსეთის მოქალაქეებისთვის.

რუსულ რობოტს, ვასილის, უნდა შეძლებოდა, ეპასუხა მოქალაქეების მიერ დასმულ ყველა შეკითხვაზე და ამავდროულად პატრიოტული განწყობა უნდა ჰქონოდა.

დაპროგრამებული მოწყობილობის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე ყოველდღიური დაბრკოლებების თავიდან არიდების გზების დასახვა და რჩევების გაცემა ფულის დაზოგვასა და ეკონომიის გაკეთებაზე. რობოტზე მუშაობა 3 თვის განმავლობაში გაგრძელდა და მისი დამპროექტებლების თანახმად, მან სრულად უპასუხა სამინისტროს ჩინოვნიკთა დასმულ ყველა შეკითხვას ლოგიკურად და საინტერესოდ.

მიუხედავად სატესტო პროცედურების წარმატებით გავლისა, მოულოდნელი ინციდენტი მოხდა რობოტ ვასილის პრეზენტაციაზე სოციალური პოლიტიკის სამინისტროში. წარდგენას უწყების თანამშრომლებისა და მედიის გარდა, სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ სხვადასხვა სფეროში დასაქმებული რუსეთის მოქალაქეები.

ერთ-ერთი მოქალაქის შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა იცხოვროს რუსეთის მოქალაქემ თვიდან თვემდე 12 000 რუბლით, რობოტმა უპასუხა და ურჩია, რომ ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნება თუ ასეთი ადამიანი ქვეყნიდან გაიქცევა. მექანიზმის გამომგონებელმა და მისმა მთავარმა პროგრამისტმა ინციდენტის შემდეგ პროგრამა გადატვირთა, თუმცა რობოტი არ ჩერდებოდა და აგრძელებდა რჩევების გაცემას, რომ ყველა მოქალაქე წასულიყო ემიგრაციაში.

ჰოპ-ტეხ-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ნიკონ ილარიონოვმა განაცხადა, რომ ვასილი ჰაკერული თავდასხმის მსხვერპლი გახდა. კომპანია აცხადებს, რომ რობოტის სრულყოფისთვის მუშაობები გაგრძელდება, რაზეც სამინისტრომ დამატებით 3 მილიარდი რუბლი გამოყო.

ოლონდ პრეზიდენტი გახდეს და...



ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში დონალდ ტრამპის სამართლებრივ დევნას არ დაიწყებს. ამის შესახებ აშშ-ის ექსვიცეპრეზიდენტმა დებატებისას განაცხადა.

„მე არ ჩავერევი პროკურორის საქმეებში. დაე, მათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება. თუ ისინი დაადგენენ, რომ ტრამპი დამნაშავე იყო, დაე, ასე იყოს, მაგრამ მე მათ მითითებებს არ მივცემ. ვფიქრობ, მუდმივი მოწოდებები იმის შესახებ, რომ ტრამპი ციხეში უნდა მოხვდეს, კარგი იდეა არაა,“ — აღნიშნა ბაიდენმა.

ებრაელთა პროტესტი

ევროპის ებრაელთა ასოციაცია (EJA) გერმანიაში აუქციონის სახლს სთხოვს, ჰიტლერის ქუდი და მისი მეუღლის ევა ბრაუნის კაბა გასაყიდად არ გაიტანოს.

მათი განცხადებით, ჰიტლერის და ევა ბრაუნის ნივთებს ისტორიული ღირებულება არ აქვთ და მათ მხოლოდ ის ადამიანები შეიძენენ, რომლებიც ნაციზმს ხოტბას ასხამენ.

აუქციონზე ასევე იგეგმება ჰიტლერის „ჩემი ბრძოლის“ მოვერცხლილი გამოცემის გაყიდვა. EGA-ს თავმჯდომარემ ღია წერილით მიმართა გერმანიის ხელისუფლებას, რომელშიც წერს, რომ აუქციონი „ნაცისტების განდიდების შესაძლებელობაა“.

მესამე რაიხთან დაკავშირებული 147 ნივთი უფრო დიდი ისტორიული კოლექციის ნაწილია, რომელიც 800-ზე მეტ ნიმუშს მოიცავს.

სკანდალი სამეფო ოჯახში

იორკის ჰერცოგი და დიდი ბრიტანეთის დედოფლის ვაჟი პრინცი ენდრიუ საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობას გაურკვეველი დროით ჩამოშორდება. ამის მიზეზი მილიარდერ ჯეფრი ეპშტეინთან დაკავშირებული სკანდალი გახდა. ჰერცოგის თქმით, მან ელისაბედ მეორეს საჯარო მოვალეობებისგან გათავისუფლების ნებართვა სთხოვა, რაზეც დედისგან თანხმობა მიიღო.

რამდენიმე დღის წინ პრინცმა BBC-ს ინტერვიუ მისცა, რომელშიც სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მისმა ეპშტეინთან მეგობრობამ სამეფო ოჯახის რეპუტაციას ჩრდილი მიაყენა. ექსპერტებმა და პრესამ ინტერვიუს კატასტროფა უწოდეს.

66 წლის ჯეფრი ეპშტეინი არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისა და პროსტიტუციაში ჩაბმის ბრალდებით 7 ივლისს დააკავეს. გამოძიების მტკიცებით, ბრალდებულმა დანაშაული 2002 და 2005 წლებში ნიუ-იორკსა და ფლორიდაში ჩაიდინა. 10 აგვისტოს მილიარდერმა საკანში თავი მოიკლა. ეპშტეინის სიკვდილმა შეთქმულების თეორიები გააჩინა.

ეპშტეინის ერთ-ერთი მსხვერპლი ვირჯინია ჯუფე ამტკიცებს, რომ არასრულწლოვანი იყო, როცა მილიარდერის ბრძანებით პრინც ენდიუსთან სექსი ჰქონდა. იორკის ჰერცოგი ბრალდებებს უარყოფს.

მძარცველები – მსოფლიო პატრიარქის სახლში



არსებული ცნობით, სამი ნიღბიანი მძარცველი მსოფლიო პატრიარქის სახლში შეიჭრა, როდესაც სახლში მხოლოდ მოახლე ქალი იმყოფებოდა. ინციდენტი 16 ნოემბერს მოხდა. ადგილზე დაუყოვნებლივ გამოიძახეს პოლიცია, რომელმაც გამოძიება დაიწყო. ბერძნული მედიის ცნობით, მძარცველებს არაფერი წაუღიათ.

მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს სახლი სტამბოლის დაცულ რაიონში მდებარეობს. უცნობია, თუ როგორ შეძლეს მძარცველებმა სახლში ისე შეღწევა, რომ ისინი დაცვის სამსახურს არ შეუმჩნევია.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847

შპს „მაცნე“
599 982777

„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9776; ევრო - 3.2956;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8444;
100 რუბლი - 4.6553; თურქული ლირა - 0.5229;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7543;
1000 სომხური დრამი - 6.2437

ამინდი 22 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+7
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+12
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge